ფინანსთა სამინისტრო დევნილებს ელექტროენერგიის საფასურს არ უხდის A2

სახელისუფლებო „დეჟავიუ“ A3

TV - პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 12 ივლისი, 2003 წელი. №189 (401)

ფასი 30 თეთრი

# ირაკლი ბათიაშვილისა და დავით თევზაძის ავბედითი პროგნოზი



## სეკვესტრი, შეიძლება, სამხედრო აჯანყებასა და რევოლუციაში გადაიზარდოს

*თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე და პარლამენტარი ირაკლი ბათიაშვილი გუშინ იმ საფრთხის შესახებ ალაპარაკდნენ, რომელიც შეიძლება ახლო მომავალში საქართველოს დაემუქროს. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ძალოვანი უწყებების დაუფინანსებლობას შეიარაღებული ძალების რღვევის პროცესი მოჰყვეს, რაც ქვეყანას გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანს. „შიმშილობები და სხვა სახის საპროტესტო აქციები მაშინ უკვე იავნანად მოგეჩვენებათ,“ - აფრთხილებს საზოგადოებას დავით თევზაძე. „ჯარის დაშლით გამოწვეული უბედურება ყველას მისწვდება. დესტაბილიზაციის ტალღა ყველაფერს წალეკავს. მოპარული ფულით აშენებული სახლები და აგარაკები მავანთ ოხრად დარჩებათ,“ - პოლიტიკური აპოკალიფსის სურათს კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. ბათიაშვილის თქმით, რევოლუციური სიტუაციის შექმნას თავად მთავრობა უწყობს ხელს, რომელიც ძალოვანი უწყებების მიმართ გამოჩენილი სიძუნწით, ქვეყანას სერიოზული განსაცდელის წინაშე აყენებს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## „აუცილებელია, ვინმემ პასუხი აგოს“

### პარლამენტის თავმჯდომარე შეშფოთებულია საბიუჯეტო პრობლემებით

სოფო ბუკია

ჰოლანდიიდან ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად დაბრუნებულ ნინო ბურჯანაძეს, გუშინ აეროპორტში გამართულ ბრიფინგზე, ჰოლანდიურ მიღწევებზე სასაუბროდ არ ეცალა. ბურჯანაძე ხუთდღიან ვიზიტს მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა ბრიფინგის ძირითადი თემა სულ სხვა გახლდათ. საარჩევნო არეულობა, რომელიც ბურჯანაძემ ნიდერლანდებში გამგზავრების წინ დატოვა, არ ჩამცხრალა. კიდევ უფრო გამძაფრდა საბიუჯეტო კრიზისის თემა.

**“პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბიუჯეტის შეუსრულებლობაზე მკვეთრად ვსაუბრობ. შემაშფოთებელია, როცა წლიდან წლამდე ისედაც მწირი ბიუჯეტი არ სრულდება და მუდმივად სეკვესტრზე გვიწევს საუბარი. აუცილებელია, ვინმემ პასუხი აგოს ამაზე,”** – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ჰოლანდიაში ვიზიტისას ბურჯანაძე დარწმუნდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ჰოლანდიის მიერ გაწეულ დახმარებებსაც სათანადოდ ვერ იყენებს: **“ვიცე-პრემიერთან შეხვედრისას, როცა ჰოლანდიის მთავრობის მიერ საქართველოსადმი დახმარებების გაგრძელებას შეეხო საუბარი, გაირკვა, რომ შარშან საქართველოსთვის ჰოლანდიიდან მისაღები გრანტი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობით დაიკარგა. საქართველოს მთავრობამ ჰოლანდიის მთავრობისთვის ინფორმაციის მიწოდება დააგვიანა”.**

ნინო ბურჯანაძე კომენტარს უკეთებს საქართველოს მთავრობის მიერ უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ერთხმად გამოთქმულ პოზიციას, აფხაზეთში გაერო-ს მეშვიდე მუხლის ამოქმედების შესახებ, რაც მშვიდობის ძალით დამყარებას გულისხმობს:

გაგრძელება A3 გვერდზე

## კონტრაბანდას ყველა „ებრძვის“, პასუხს არავინ აგებს

ქვეყანაში ამჟამად შექმნილი ვითარება, ძირითადად, განპირობებულია მწვავე საბიუჯეტო კრიზისით და საფრთხეს უქმნის ქვეყანას, რადგან იგი უშუალო კავშირშია სოციალურ აფეთქებასთან. “24 საათი” იწყებს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ზურაბ გარაყანიძის სტატიების ციკლის გამოქვეყნებას. წინამდებარე ანალიზი გაკეთებულია ქვეყნის უსაფრთხოების ჭრილში და ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე.

A2

## გატაცებული თურქის გათავისუფლებას პოლიცია არ ადასტურებს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამართალდამცველი ორგანოები არ ადასტურებენ 9 ივლისს დილით ზუგდიდიდან გატაცებული, თურქეთის მოქალაქის გათავისუფლების ფაქტს.

A4

## კახა თარგამაძე: ზოგი რეზონანსული დანაშაული ვერასდროს გაიხსნება



*კახა თარგამაძე*

*წლების წინ კრიმინალური ანკლავის სტატუსით დაჯილდოვებული პანკისის ხეობის შესახებ, იქ მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფების და მათი ლიდერის, ცნობილი კრიმინალის შოთა ჭიჭიაშვილის, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების, მათ შორის - რეზონანსული გატაცებების შესახებ ახლაც, წლების შემდეგაც სერიოზული მითქმა-მოთქმა მიმდინარეობს. “24 საათის” წინა ნომრებში შემოგთავაზეთ სამი წლის წინ პანკისის ხეობაში*

## კახა ბაკურაძე: მე დიდი პიარის მსხვერპლი გავხდი



*კახა ბაკურაძე*

*გატაცებულ ესპანელ ბიზნესმენთა ჩვენებები და ინტერვიუ მათ მიერ გატაცების დამგეგმავად გამოცხადებულ უშიშროების ყოფილ გენერალთან, ლევან კენჭაძესთან.*

*ამჯერად, გთავაზობთ ინტერვიუებს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრთან კახა თარგამაძესთან და მის ყოფილ მოადგილესთან, ახლა ინტერპოლის ხელმძღვანელთან კახა ბაკურაძესთან.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## სწავლა და ფული, ფული და სწავლა

ნინო ცინცაძე

უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უმაღლესი განათლება ფასიანია. ჩვენს ქვეყანაში არსებული 222(!!!) უმაღლესი სასწავლებლიდან უმრავლესობა კერძოა. ამ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა წლიური გადასახადი საშუალოდ 1000 დოლარს შეადგენს. არსებობენ “იაფიანი”, 300-400-დოლარიანი ფაკულტეტებიც, მაგრამ თუ სარფიანი ხელობა, ვთქვათ, იურისტობა ან სტომატოლოგობა გსურს, ჯიბეც უკეთ უნდა მოიქექო. ყველაზე ძვირად ღირებული უმაღლესი თბილისში დღეს ESM-ია. სწავლა იქ წელიწადში 2000 დოლარი ღირს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ეს უმაღლესი იმდენ განათლებას არ იძლევა, რამდენადაც იმის გარანტიას, რომ სამსახურს იშოვნი. დამეთანხმებით, ეს უკანასკნელი ცუდი რამ სულაც არ არის და ამიტომ, ვისაც საშუალება აქვს, ამ საქმეში ფინანსებს უშურველად გასცემს. მაგრამ ვისაც ამის საშუალება არა აქვს? მათ გეზი უნდა აიღონ სახელმწიფო უმაღლესებისკენ, სადაც სწავლა ერთ დროს, მართლაც, უფასო იყო. მაგრამ რა ხდება დღეს?

შედარებით მცირე რაოდენობის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში კომერციული სექტორი ისე მომძლავრდა, რომ ამ დაწესებულებებს “უფასო” ძნელად თუ ეთქმის. თსუ-ს პოპულარულ ფაკულტეტებზე ე.წ. ფასიან სტუდენტთა რაოდენობა ორ-სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე საბიუჯეტო სექტორის სტუდენტებისა. თანაც, კომერციულ განყოფილებებზე, დროთა განმავლობაში, გადასახადი იზრდება. თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შარშან წლიური გადასახადი 800 აშშ დოლარი იყო, წლეულს 1000 დოლარია, ფსიქოლოგიურზე კი გადასახადი 500 დოლარიდან 800-მდე გაიზარდა. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტზე ნელნელა მცირდება მიღება საბიუჯეტო სექტორებზეც. მაგალითად, ტექნიკური უნივერსიტეტის

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | ☼ |
| ბათუმი | 39 | ☼ |
| ქუთაისი | 39 | ☼ |
| თელავი | 37 | ☼ |
| სოხუმი | 39 | ☼ |
| ფოთი | 28 | ☼ |
| თელავი | 27 | ☼ |
| ზუგდიდი | 33 | ☼ |
| გორი | 31 | ☼ |
| ახმეტა | 27 | ☁ |
| ჭიათურა | 29 | ☼ |
| გაგრა | 28 | ☼ |
| სამტრედია | 31 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

## კშიშტოფ ზანუსი: გემოვნების საკითხებში უმრავლესობა ყოველთვის ცდება

A7



*კშიშტოფ ზანუსი*

## კმარა, მიიჩნევენ სტუდენტები

*გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში კიდევ ერთხელ არ გამოიტანეს საბოლოო განაჩენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, თეა თუთბერიძის სარჩელზე, რომელიც თსუ-ში 2002 წლის მიღების წესების ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას ითხოვს. უკვე ერთი წელიწადია, სასამართლო პროცესი ჭიანურდება. შარშან, ზაფხულში, ამ სარჩელს დიდი ხმაური მოჰყვა. მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. ჩვენმა სახელმწიფომ ეს კარგად იცის და გახმაურებულ საქმეთა მისაჩუმათებლად და დასავიწყებლად ამ პრინციპს მშვენივრად იყენებს.*

ვასიკო გაგუა

თავდაპირველად, სტუდენტი საკუთარ უფლებებს იცავდა. თეა თუთბერიძე ერთი ქულის დაკლების გამო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ფასიან განყოფილებაზე მოხვდა. 2002 წლის ზაფხულში მესამეკურსელმა სტუდენტმა მოინდომა, მისალები გამოცდები თავიდან ჩაებარებინა, რათა შესძლებოდა, სწავლა უფასო სექტორზე გაეგრძელებინა. აღმოჩნდა, რომ ამის უფლება მხოლოდ პირველკურსელებს ჰქონდათ, რაც კანონდარღვევაა, რადგან არავის აქვს უფლება, სტუდენტები არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ნამდვილი პუტინი

*აშშ-ს გავლენიანმა გაზეთმა “უოლ სტრიტ ჯორნალმა” რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს საკმაოდ საინტერესო სტატია მიუძღვნა. გთავაზობთ ამ სტატიის პირდაპირ თარგმანს.*

### ვინ არის ვლადიმირ პუტინი?

1999 წლის შემოდგომაზე ამ შეუმჩნეველი ჩინოვნიკის და სუკის აგენტის რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, დასავლეთში ამ კითხვას განსხვავებულად პასუხობენ.

ზოგიერთი ბანკირისათვის, ინვესტორისა და დიპლომატისათვის რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ბედის საჩუქარია. მისი ზეობის დროს, რუსეთის 1998 წლის დროინდელმა დევალვაციამ და ნავთობზე ფასების ზრდამ, პირველად სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას შეუწყო ხელი. შესაძლოა, ეს შემობრუნება მის პირად დამსახურებად არც ჩაითვალოს, მაგრამ პუტინმა რეფორმები დაიწყო, რომელიც ხანგრძლივ დროზეა გათვლილი. მან ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, ფიქსირებული 13-პროცენტიანი გადასახადი შემოიღო.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# რევაზ ადამია: საქართველოში იარაღის უკანონო ბრუნვა რუსეთის სამხედრო ბაზებს უკავშირდება

საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენელი გაერო-ში რევაზ ადამია საქართველოში მცირე და მსუბუქი შეიარაღების უკონტროლო და უკანონო ვაჭრობის და გავრცელების მთავარ მიზეზად ჩვენს ქვეყანაში დისლოცირებულ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებს და რეგიონულ კონფლიქტებს ასახელებს.

ამის შესახებ ელჩმა განცხადება "მცირე და მსუბუქი შეიარაღების უკანონო წარმოების, გავრცელების და ვაჭრობის სრული აღმოფხვრის" გაერო-ს სამუშაო გეგმის შესრულებისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე გააკეთა, რომელიც 7-11 ივლისს ქალაქ ნიუ-იორკში, გაერო-ს შტაბ-ბინაში შედგა.

რევაზ ადამიას თქმით, საქართველო მზად არის, ამ კუთხით ითანამშრომლოს ცალკეულ სახელმწიფოებთან, რეგიონულ და გლობალურ ორგანიზაციებთან. მისი აზრით, ასეთი თანამშრომლობა აუცილებელია როგორც თავად სახელმწიფო კონტროლის გასაძლიერებლად, ასევე რეგიონული კონფლიქტების მოსაგვარებლად.

საქართველოს წარმომადგენელმა მნიშვნელოვნად მიიჩნია "რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერება", რათა რუსეთმა როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში აღებული ვალდებულებები შეასრულოს.

*ინტერ-პრესი*

# ფინანსთა სამინისტრო დევნილებს ელექტროენერგიის საფასურს არ უხდის

*თუ ფინანსთა სამინისტრო „გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" (გსეკ) დარჩენილ დროში ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ აუნაზღაურებს, ორშაბათს კომპანია კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს. გარდა ამისა, შეზღუდვაში მოყვება იმერეთისა და სამეგრელოს რამდენიმე რაიონიც. „გსეკ"-ში აცხადებენ, რომ ეს რაიონები ვერ ჩაეტივნენ საბითუმო ბაზრის მიერ ენერგოკომპანიისათვის დაწესებული ლიმიტის ფარგლებში და ვერც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის პირნათლად გადახდა უზრუნველყვეს.*

მაია ურუშაძე

„გსეკ"-ის კონსულტანტ ზურაბ ნოღაიდელს უკვირს, რომ სახელმწიფო ხაზინამ გასულ კვირას დახარჯულ 11 მილიონ ლარში, რატომღაც, ვერ მოახვედრა ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური - 350 ათასი ლარი. **„გასულ კვირას ხაზინამ 2,5 მილიონი ლარი მხოლოდ ელექტროენერგიის ტარიფის სუბსიდირებისთვის გაიღო. რა დანიშნულება ჰქონდა ამ თანხას, ჩემთვის უცნობია. ფინანსთა სამინისტროს მხრიდან ლტოლვილთა მიმართ ასეთი მიდგომა მიუღებელია,"** – აცხადებს ფინანსთა ექსმინისტრი. თუ როდის მოახერხებს სახელმწიფო ხაზინა ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ჯერჯერობით, ვერ აკონკრეტებს.

რაც შეეხება დენის გარეშე დარჩენის კანდიდატურებს – სამეგრელოსა და იმერეთის რაიონებს, ისინი 14 ივლისიდან ელექტროენერგიას 12-საათიანი გრაფიკით – დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ ივნისის დასაწყისიდან „გსეკ" საქართველოს 37 რაიონს, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების ცუდი მაჩვენებლის გამო, დენს შეზღუდვით აწვდის. **„ამ ეტაპზე კომპანია ვერ ახერხებს ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტის დაცვას, ამიტომ იძულებულია, გათიშვის პროგრამა კიდევ უფრო გაამკაცროს,"** – აცხადებენ „გსეკ-ის" ამერიკელი მენეჯერები.

# „თბილგაზის" საკითხი კვლავ გაურკვეველია

გუშინ თბილისის საკრებულომ „თბილგაზის" ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტისათვის" გადაცემის საკითხი განიხილა. „ახალი მენეჯმენტის" „თბილგაზში" 10-წლიანი მართვის უფლებით შესვლა მერიის ქონების მართვის სამმართველოს მიერ გამოცხადებული ტენდერის შედეგად გადაწყდა. ამ ტენდერზე ახლადშექმნილმა ამხანაგობამ „საქტრანსგაზმრეწვს" აჯობა. პოლიტიკოსები „ახალი მენეჯმენტის" მიღმა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის ინტერესებს ხედავენ და ამას იმით ადასტურებენ, რომ ამხანაგობის წევრები კორპორაციის შვილობილის, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ყოფილი თუ ამჟამინდელი თანამშრომლები არიან.

საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მინდელი მხარს უჭერს „თბილგაზში" ამხანაგობა „ახალი მენეჯმენტის" შესვლას და აცხადებს, რომ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი საწარმოს განვითარების პროგრამა, ბიზნეს-გეგმა და გაზის უწყვეტი მიწოდების გარანტიები სავსებით დამაკმაყოფილებელია. მისი თქმით, „ახალი მენეჯმენტი" მერიასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში საკმარის პირობებს დებს იმისათვის, რომ თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაციისათვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნას.

საკრებულოს დეპუტატებისთვის ზეპირი განცხადება საკმარისი არ აღმოჩნდა და მათ „ახალი მენეჯმენტის" მიზნებისა და კონკრეტული გეგმის გაცნობა მოითხოვეს. ეჭვგარეშეა, რომ „ახალ მენეჯმენტს" ამ დოკუმენტაციის წარმოდგენა არ გაუჭირდება.

*24 საათი*

# ამერიკაში უმუშევრობა საგანგაშო მაჩვენებლებს აღწევს

ადამ მჭედლიძე

სულ რაღაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი აშშ-ში ერთბაშად 83 ათასით გაიზარდა, რის შედეგადაც, დაუსაქმებელთა რაოდენობა ქვეყანაში 2,82 მილიონამდე ავიდა. ეს სარეკორდო მაჩვენებელია ბოლო 20 წლის განმავლობაში. საინტერნეტო პორტალ „იაჰუსა" და უდიდეს საცალო ვაჭრობის ქსელ „უოლ მარტის" მიერ გამოქვეყნებულ იმედგამაცრუებელ შედეგებთან ერთად, ამ მონაცემებმა ერთობ უარყოფითი გავლენა იქონია აშშ-ს ბირჟებზე. დოუ ჯონსის ინდექსი ერთბაშად 1,3 პროცენტით დავარდა.

სპეციალისტთა თქმით, ამგვარ ჩავარდნას ძნელად თუ ელოდა ვინმე. უმუშევრობის მაჩვენებელი, ჯერ კიდევ ივნისში - 6,1 პროცენტი იყო და ახლა 6,3 პროცენტამდე გაიზარდა. აშკარაა, რომ საინვესტიციო აქტივობა მნიშვნელოვნად ეცემა, მიუხედავად ფედერალური რეზერვის მიერ განაკვეთების არნახულად შემცირებისა. ასევე ეცემა სამომხმარებლო რწმენაც.

„უოლ მარტი," რომელიც გაყიდვების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ზაფხულის მოსვლასთან ერთად შემოსავლების მკვეთრ ზრდას ელოდა (ამ დროს იზრდება მოთხოვნილება ისეთ საქონელზე, როგორიცაა კონდიციონერი), მაგრამ ზრდამ სულ რაღაც 2,7 პროცენტი შეადგინა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სამომხმარებლო აქტივობა ერთობ დაბალ დონეზეა. ანალოგიურად დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ სხვა საცალო მოვაჭრეებსაც. „იაჰუს" შედეგებმა კი ცხადყო, რომ საინტერნეტო კომერციაც კრიზისს განიცდის.

# კონტრაბანდას ყველა „ებრძვის", პასუხს არავინ აგებს

ზურაბ გარაყანიძე

*ქვეყანაში ამჟამად შექმნილი ვითარება, ძირითადად, განპირობებულია მწვავე საბიუჯეტო კრიზისით და საფრთხეს უქმნის ქვეყანას, რადგან იგი უშუალო კავშირშია სოციალურ აფეთქებასთან. "24 საათი" იწყებს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ზურაბ გარაყანიძის სტატიების ციკლის გამოქვეყნებას. წინამდებარე ანალიზი გაკეთებულია ქვეყნის უსაფრთხოების ჭრილში და ამ მუშაობაში მონაწილეობდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალა არ მომზადებულა თეორიულ-კვლევითი ანალიზისათვის, არამედ მას სახელისუფლებო დონეზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაზე აქვს პრეტენზია.*



*დრო და დრო ასეთ ჭიაკოკონებსაც ანთებენ, მაგრამ აღურიცხავი სიგარეტი ქართულ ბაზარზე არ კლებულობს.*

აღრიცხვიანობის მოშლა არა მარტო წმინდა ფისკალურ პრობლემებს ამწვავებს, არამედ მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას, ვინაიდან დაუბეგრავი იმპორტული პროდუქციის მიმოქცევაში მოხვედრა იწვევს დანარჩენი მეწარმეებისადმი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტორის ჩამოყალიბებას. ეს კი, ამ უკანასკნელთა მხრიდან, „ჩრდილოვანი" ეკონომიკისაკენ მისწრაფებას წარმოქმნის. აღურიცხავი სექტორის ზრდის გამო იზრდება ბანკებსგარეთ მბრუნავი ფულის მასა (1996 წლიდან დღემდე - 2-ჯერ) და დოლარიზაციის კოეფიციენტი. ამჟამად, აღურიცხავი სავალუტო მასა, დაახლოებით, 300 მილიონი დოლარია, რაც 100 პროცენტით აღემატება საბანკო დეპოზიტებს. ფულის დიდი მასა კი ისეთი საფრთხეა, რომელმაც გარეგანი ზემოქმედების (მაგალითად, მეზობელ ქვეყანაში ვალუტის დევალვაციის) შედეგად შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფოებრიობას. მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული ტენდენციის ძირითად ნეგატიურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს მსხვილი სახსრების კონცენტრირება კონკრეტული პირების ხელში. ისინი არ ექვემდებარებიან კონტროლს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან და შეეცდებიან თავიანთი წესების კარნახს ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებში. როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული სტრუქტურების კუთვნილი თანხების ამგვარი თავმოყრა გამოიწვევს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებას იურიდიული და ფიზიკური პირების მცირე ჯგუფებზე, რომელთა მანიპულაციები უმსხვილესი ფინანსური სახსრებით გარდაუვალ გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შემცირება (განსაკუთრებით, 1998 წლის ბოლოდან), სულ უფრო აქტუალურს ხდის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი შიდა და გარე საფრთხეების ნეიტრალიზაციის ამოცანების გადაჭრას.

ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემატურია დღეს არსებული ვითარება ქვეყნის საფინანსო სისტემაში. იმ დროს, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება (2000 წელს მან 5,9 მილიარდი ლარი, ხოლო 2002 წელს - 7,3 მილიარდი ლარი შეადგინა), კატასტროფულად მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები. 2003 წლის ოთხი თვის საპროგნოზო მაჩვენებელი თითქმის 80 მილიონი ლარით გაირღვა. შემოსავლები მცირდება ისეთი აქციზური საქონლიდან, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები. კერძოდ, თუ 1999 წელს საქართველოს კონსოლიდირებულ ბიუჯეტში თამბაქოს დაბეგვრიდან საბიუჯეტო შემოსავალმა 62,9 მილიონი ლარი შეადგინა, 2000 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 25,9 მილიონი ლარი ანუ 41,2 პროცენტი იყო. შესაბამისად, შემცირდა თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ-ში). 1999 წელს ეს თანაფარდობა 1,2 პროცენტი იყო, 2000 წელს მან მშპ-ს მხოლოდ 0,4 პროცენტი შეადგინა. სიგარეტის იმპორტის დაბეგვრით 1999 წელს ბიუჯეტში მობილიზებული იყო 58,7 მილიონი ლარი, 2000 წელს - 25,1 მილიონი ლარი, ანუ 42,8 პროცენტი.

ადგილობრივი და იმპორტული თამბაქოს აღრიცხვიანობის გაუმჯობესება და კონტრაბანდული იმპორტის შეზღუდვა უნდა მოეხდინა აქციზური მარკების შემოღებას, მაგრამ ამ ძვირადღირებულმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებამ მოსალოდნელი ეფექტი ვერ მოგვცა.

განვლილი წლების პრაქტიკამ, სტატისტიკურმა ანალიზმა, ექსპერტების მოსაზრებების განზოგადებამ, ნორმატიული ბაზის შესწავლამ, იმპორტ-ექსპორტის და ადგილობრივი წარმოების მოცულობის რეალურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა ამა თუ იმ სახეობის საქონლის კონტრაბანდის მოცულობის დასადგენი მეთოდიკა. მიღებულ შედეგებს, რა თქმა უნდა, ახლავს ცდომილებაც, მაგრამ იგი იმ მასშტაბის არაა, რომ გადაწყვეტილების სისწორეზე და ეფექტიანობაზე გავლენა იქონიოს.

დავიწყოთ თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდის მასშტაბებით.

გასულ წლებში თამბაქოს ბაზრის ტენდენცია მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდება, რაც ამ პროდუქციაზე აქციზური მარკების შემოღების შემდეგ კიდევ უფრო აშკარა გახდა. თუ 1998 წელს - თამბაქოს პროდუქციის იმპორტმა 13,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 2000 წელს - 25,1 მილიონი აშშ დოლარი იყო. იმპორტის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იყო.

ამავე დროს, ადგილობრივი წარმოება, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, შეადგენდა 1998 წელს - 594,8 მილიონ ღერს, ხოლო 1999 წელს - 1308,5 მილიონ ღერს. თანხობრივად, 1997 წელს იწარმოა 3,057 მილიონი ლარის, 1999 წელს კი - 5,352 მილიონი ლარის თამბაქოს პროდუქცია ფაქტიურ ფასებში. ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა ადგილობრივი თამბაქოს პროდუქციის წარმოება 2000 წელსაც.

ამ პროდუქციის ექსპორტმა, რაც ძირითადად, რეექსპორტის ხარჯზე განხორციელდა, შეადგინა: 1998 წელს - 945,6 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 1999 წელს - 3,5 მილიონი აშშ დოლარი.

ამავე დროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოკვლევის თანახმად, მწეველთა წილი მთელ მოსახლეობაში 31,1 პროცენტს ანუ 1,5 მილიონ მოქალაქეს შეადგენდა, რისთვისაც 1999 წელს საქართველოს მოსახლეობის ხარჯმა თამბაქოს პროდუქციის შესაძენად, შეადგინა 242,4 მილიონი ლარი, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის მეოთხედი. თითოეული მწეველი საშუალოდ დღეში 14,5 ღერ სიგარეტს მოიხმარდა. ქვეყნის გარეთ გაედინებოდა ათეულობით მილიონი აშშ დოლარის აქტივები, ვინაიდან 1999 წლის მოხმარების 69 პროცენტი იმპორტულ სიგარეტზე მოდიოდა.

აქედან გამომდინარე, 1999 წელს თამბაქოს ბაზრის უზრუნველყოფის მაჩვენებლები შეგვიძლია გავიანგარიშოთ. თუ ცნობილია, რომ 1999 წელს საბაჟო მონაცემებით, იმპორტირებული იყო 35,4 მილიონი აშშ დოლარის თამბაქოს პროდუქცია, ადგილზე იწარმოა 5,4 მილიონი ლარის ანუ 2,7 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია, ექსპორტმა შეადგინა - 3,5 მილიონი აშშ დოლარი, თამბაქოს ბაზრის მოცულობაა - 242,4 მილიონი ლარი ანუ 121,2 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო თამბაქოს ნაწარმის გარდამავალი ნაშთები წინა წლის ექსპორტირებული პროდუქციის დაახლოებით მეოთხედია, მაშინ გამოდის, რომ თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდა და აღურიცხავი ადგილობრივი წარმოება, დაახლოებით, 84 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. აღურიცხავი სექტორის გაანგარიშების განხილული მეთოდი სათანადო მონაცემების შეტანის გზით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახეობის პროდუქციისათვის ნებისმიერ პერიოდში.

# ადეიშვილი თავისი უწყების მუშაობით კმაყოფილია

სოფიკო ოხანაშვილი

**„ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში ეკონომიკური მაჩვენებლები 1997 წლიდან სტაბილურად მატულობს, შესაბამისად, იზრდება დარგიდან ბიუჯეტში შენატანებიც",** - ასეთი განცხადება გააკეთა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ადეიშვილის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო შენატანებმა 137 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 24,5 მილიონი ლარით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. საბიუჯეტო შენატანების მთლიან მოცულობაში სატრანსპორტო დარგის წილმა 90 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კავშირგაბმულობის სფეროს საბიუჯეტო შენატანებმა - 46,5 მილიონი ლარი. ადეიშვილის განცხადებით, საბიუჯეტო ვალდებულებების ასეთი ზრდა რეზერვების მოძიებამ განაპირობა. არსებული შედეგები მინისტრს ოპტიმისტური



*მერაბ ადეიშვილი ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებს.*

პროგნოზების გაკეთების საშუალებას აძლევს. ადეიშვილი დარწმუნებულია, რომ წლის ბოლოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო 280 მილიონლარიან გეგმას გადააჭარბებს. **„წლის ბოლომდე ჩვენ სამას მილიონ ლარამდე ავალთ",** - განაცხადა ადეიშვილმა.

**„თურქულ მხარესთან მიღწეული შედეგი ამ ეტაპზე იმის ნიმუშია, რომ ნებისმიერ ქვეყანასთან მოლაპარაკებების დროს კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია",** - ასეთი კომენტარით გამოეხმაურა „თურქიშ ეარლაინზსა" და „აირზენას" შორის ცხრა ივლისს მიღწეულ კომერციულ შეთანხმებას ადეიშვილი. მისი თქმით, ყველა უცხოურ ავიაკომპანიას აქვს უფლება იფრინოს საქართველოში, მაგრამ ეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვით უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება „ბრითიშ მედითერიან ეარვეიზს", ადეიშვილი იმედოვნებს, რომ ბრიტანულ ავიაკომპანიასთან ოქტომბრამდე იქნება მიღწეული შეთანხმება. **„ჩვენ ორი მოთხოვნა გვაქვს - უცხოურმა ავიაკომპანიამ ფრენების სიხშირე უნდა შეათანხმოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციასთან და, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აუცილებლად უნდა გადაიხადოს მოგების გადასახადი",** - განაცხადა ადეიშვილმა.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მობილური ქსელების განვითარებით კმაყოფილია. ადეიშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის მობილური ტელეფონების მომხმარებლთა რიცხვმა 400 ათასს გადააჭარბა. იგი დარწმუნებულია, რომ მობილური ტელეფონების მოხმარების ტარიფი არ გაიზრდება.

# საქმოსნები მთავრობას გადასახადების დათვლას ასწავლიან

სოფო კვინტრაძე

სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს გიორგი ისაკაძეს საქართველოს ბიზნეს კონფედერაციის წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრაზე კონფედერაციის მიერ შემუშავებული საგადასახადო შემოსავლებისა და ეკონომიკური ზრდის სტრუქტურული მოდელის პრეზენტაცია მოეწყო. როგორც შეხვედრის მონაწილეები აცხადებენ, საქართველოს ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი საგადასახადო სისტემის არასრულყოფილების პირდაპირი შედეგია. მაღალი საგადასახადო განაკვეთები, გადასახადების მობილიზების დაბალი დონე და ფისკალური დაგეგმვის სუსტი კავშირი რეალურ ეკონომიკასთან (საგადასახადო ბაზასთან), კარგა ხანია, საგადასახადო პოლიტიკაში რადიკალური გარდაქმნებისა და საბიუჯეტო ტექნოლოგიის სრულყოფის აუცილებლობაზე მიგვანიშნებენ. ბიზნეს კონფედერაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოში მოღვაწე ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს გადამხდელთა კავშირი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და ევროპული სავაჭრო პალატა, მიიჩნევს, რომ სწორი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების, ფისკალური დაგეგმვის და პრაქტიკაში მისი განხორციელების პროცესში აუცილებელია ანალიზისა და პროგნოზირების ზუსტი რაოდენობრივი მეთოდების, კერძოდ, ეკონომეტრიკული და საბალანსო მოდელების გამოყენება.

საქართველოს ბიზნეს კონფედერაციასთან ჩამოყალიბებული ჯგუფის მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა მიზნად ისახავდა ისეთი მოდელური ინსტრუმენტარის, ანუ გაანგარიშების მექანიზმის შექმნას, რომელიც საბიუჯეტო პროცესში ჩართულ სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, საგადასახადო სისტემის ცვლილების შედეგად, კონკრეტულ პარამეტრებზე დაყრდნობით საბიუჯეტო შემოსავლების ცვლილების და საერთო ეკონომიკური ზრდის პროგნოზული შეფასება მოახდინონ.

კონფედერაციის მიერ ჩატარებულ ანალიზს თუ დავუჯერებთ, ფრაქცია "მრეწველების" მიერ შემოთავაზებული საგადასახადო კოდექსი საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებაზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთს ნოტა გაუგზავნა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსულ მხარეს გაუგზავნა მორიგი ნოტა, რომელშიც ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლების აუცილებლობაზე საუბრობს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის თქმით, დღეისათვის სტამბულის სამიტის 1999 წლის შეთანხმების უმრავლესი საკითხები შესრულებულია, ამ საკითხებზე მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, ადგილიდან არ იძვრის.

კვლავაც გადაუჭრელია ბათუმისა და ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პრობლემა, ასევე, გაურკვეველია გუდაუთის ბაზის გარშემო შექმნილი სიტუაციაც, - აღნიშნა სიხარულიძემ.

"სტამბულის შეთანხმების შესრულება ქართული მხარის კაპრიზი როდია. საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხი და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების თაობაზე შეთანხმება, ეს საერთო ევროპული შეხედულებაა, რომელსაც ეუთო-ს ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაუჭიროს მხარი," – ასეთია საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია.

კახა სიხარულიძემ ისიც შენიშნა, რომ რუსული მხარის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ბაზების გაყვანა ორმხრივი მოლაპარაკებების საგანია და ეს საკითხი ეუთო-ს ფარგლებში არ უნდა განიხილებოდეს, საფუძველს მოკლებულია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრაღის ნოემბრის სამიტზე, საქართველოს მიერ ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ ოფიციალური განაცხადის შემდეგ, სტამბულის შეთანხმების შესრულების საკითხი რუსულ მხარესთან ყოველი შეხვედრისას ფიქსირდება, - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ.

მოსკოვი გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვაზე განცხადებებით გამოდის, თუმცა თბილისი საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარებას მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მოსკოვში 10 ივლისს შეხვდნენ საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე, ვლადიმირ პუტინის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში ვალერი ლოშჩინინი. მხარეებმა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ამჟამად არსებულ ვითარებაზე და ივლისის თვეში დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრეს. ივლისში უნდა გაიმართოს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის უმაღლესი დონის მეორე შეხვედრა. აგრეთვე, დაგეგმილია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა, სადაც აფხაზეთის საკითხს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "იმელის" შენობის წინ მიმდინარე, დევნილთა შიმშილობის აქციის მონაწილეები "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს ვანო მერაბიშვილს "პოლიტიკურ სპეკულანტობაში" ადანაშაულებენ და აფრთხილებენ, რომ მათი მისამართით გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებებისთვის "პასუხს აგებინებენ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხვალ თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოდის იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფილიპო ბერსელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი.** „სამხრეთ-კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის" პირველი სხდომა აგვისტოში ბალტიის ერთ-ერთ ქვეყანაში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად დღეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „ჯეოსელი" დაასახელა. „ჯეოსელი" მიიღებს GSM-1800 სიხშირის ლიცენზიას 10 წლის ვადით, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მომსახურების გაუმჯობესებას შეძლებს. კონკურსში, რომელიც 14 მარტს გამოცხადდა, მონაწილეობა მხოლოდ ორმა კომპანიამ - „ჯეოსელმა" და „ტელეკომმა" მიიღო, მაგრამ რადგან „ტელეკომს" დოკუმენტაცია სრულად არ ჰქონდა წარდგენილი, იგი კონკურსიდან მოიხსნა. კონკურსის პირობის მიხედვით, ლიცენზიის საწყისი ფასი 1 მილიონ 26 ათას ლარს შეადგენდა, მაგრამ ვინაიდან აუქციონი არ შედგა, ამიტომ „ჯეოსელი" საწყის თანხას გადაიხდის. პირობების მიხედვით, კომპანია, თავდაპირველად, ერთი წლის განმავლობაში დაფარავს 30 პროცენტს, ხოლო დანარჩენი 9 წლის განმავლობაში - ეს თანხა პროპორციულად გადანაწილდება. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ფინანსთა სამინისტრო სააბონენტო სატელეფონო გადასახადის სამი ლარით გაზრდას, ტელეფონის დადგმაზე, ან მობილური ტელეფონის შეძენაზე დამატებით 40-ლარიანი აქციზური გადასახადის დაწესებას არ აპირებს," – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა. მისი თქმით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, მზადდება „საგადასახადო კოდექსში" შესატან ცვლილებათა შესახებ კანონპროექტი, რომლითაც სამინისტრო მობილური ტელეფონებით მომსახურებაზე აქციზის გადასახადის შემოღებას ვარაუდობს. „გადასახადს მომსახურების მოცულობის მიხედვით ვაწესებთ, ე.ი. აქციზის გადასახადით მხოლოდ მომსახურების გადასახადი დაიბეგრება მოცულობის მიხედვით," - განაცხადა გიგოლაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სომხეთის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარქარიანის განცხადებით, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ამოქმედება ხელს შეუწყობს სომხეთისა და საქართველოს ეკონომიკურ თანამშრომლობას. ეს განცხადება სომხეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან, თედო ჯაფარიძესთან შეხვედრისას გააკეთა. სომხეთის პრემიერმა ასევე ისაუბრა საქართველო–სომხეთს შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზეც. მისი თქმით, აუცილებელია ენერგეტიკული ჰოლდინგის შექმნა. თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ რკინიგზის ამოქმედებას საქართველოსთვისაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. „აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის პირველივე ნაბიჯებიდან რკინიგზა ამოქმედდება", - აცხადებს თედო ჯაფარიძე. გარდა ამისა, ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მცირე ბიზნესში ერთობლივი საწარმოების შექმნა ასევე შეუწყობს ხელს ეკონომიკურ სექტორში თანამშრომლობას. ოფიციალურმა ერევანმა მოიწონა წინადადება სომხეთის კომპანიების მონაწილეობის შესახებ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვის შექმნილ ინფრასტრუქტურაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამით, რომელსაც კომპანია „ბი-პი" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრასის გასწვრივ მდებარე სოფლებში ახორციელებს, ამოქმედდა მიკრო-კრედიტების გაცემის კომპონენტი. კომპანია „ბი-პი"-ს საქართველოს წარმომადგენლობის ცნობით, სესხები უკვე გაცემულია ახალციხის, ბორჯომისა და რუსთავის რაიონებში. დღეისთვის მიკროსესხები საქართველოს 200-ზე მეტმა მოქალაქემ მიიღო. ძირითადად, ეს ჯგუფური სესხებია. საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამის განხორციელებისთვის „ბი-პი" 5 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია ხელისუფლების მხრიდან საკომუნიკაციო საშუალებებზე ტარიფის მოსალოდნელ გაძვირებას აპროტესტებს. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, სახელმწიფო კანცელარიის მითითებით ფინანსთა სამინისტრო ამზადებს კანონპროექტს, რომელიც ყველა სახის სატელეფონო სააბონენტო გადასახადების 2-3 ლარით გაზრდასა და გაუგებარი სქემით ტელეფონების დადგმაზე ან მობილური ტელეფონის შეძენაზე დამატებით 40 ლარის აქციზური გადასახადის დაწესებას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**განჯა.** ორი დღის წინ აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში გაიმართა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამინისტროს ოფიციალურ დელეგაციათა ორმხრივი შეხვედრა. დელეგაციებს მინისტრები: ვალერი ხაბურძანია და ნამიკ აბასოვი ხელმძღვანელობდნენ. შეხვედრაზე, ძირითადად, განხილული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. ***სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო***

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების ორგანოებში თანამშრომელთა მიღებისას პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესებული ასაკობრივი ცენზი გაუქმდა.

თუ აქამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მუშაობის დაწყების მსურველი 21-დან 35 წლამდე ასაკის უნდა ყოფილიყო, ეს ცენზი გაუქმდა იმ პირებისათვის, რომლებიც სასჯელაღსრულების ორგანოებში შინაგან საქმეთა, უშიშროების ან თავდაცვის სამინისტროებიდან, პროკურატურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურებიდან გადავლენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია „21-ე საუკუნე" აცხადებს, რომ ქვეყნის ხსნა აჭარის ავტონომიის ლიდერის ასლან აბაშიძის გაპრეზიდენტებით და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" გამარჯვებითაა შესაძლებელი. **პრაიმ-ნიუსი**

# „აუცილებელია, ვინმემ პასუხი აგოს"

პირველი გვერდიდან

**"გაერო-ს მეშვიდე თავის ამოქმედებაში მე ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუ სამშვიდობო დიპლომატიური შესაძლებლობები ამოიწურება, თავისთავად დადგება დრო გაერო-ს მეშვიდე თავის ამოქმედებისა. რა თქმა უნდა, სირთულეა, რომ რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრია და მას შეუძლია ვეტო დაადოს საქართველოს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ კონსულტაციებით, ალბათ, ესეც მოგვარებადია."**

პრესკონფერენციაზე საუბარი შეეხო ბეიკერის დანაბარებ "საარჩევნო ანდერძსაც", რომლის აღსრულებასაც "აღორძინება" და "მრეწველები" აფერხებენ. პარლამენტის თავმჯდომარე მათ მოუწოდებს, არსებული რეალობის შესაბამისად იმოქმედონ და კონსენსუსის გამონახვას შეეცადონ. **"ის, რომ საქართველოში ცესკო-ს დაკომპლექტებაზე დიდი დავიდარაბაა, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მათ შორის - ეუთო-შიც კარგად იციან,"** – აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

აეროპორტშივე პარლამენტის თავმჯდომარე ახალი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს. ბურჯანაძე არ გამორიცხავს, რომ ახალი ორგანიზაციის დაფუძნება შესაძლებელია, თუმცა, ვის აირჩევს პარლამენტის თავმჯდომარე ახალ პოლიტ-პარტნიორებად, ჯერჯერობით, უცნობია. **"ისენი იქნებიან ძალიან ნორმალური ადამიანები,"** - მოკლე კომენტარით შემოიფარგლა ბურჯანაძე.



*ხათუნა გოგორიშვილი და გიგი წერეთელი ახალი ამბებით თვითმფრინავის ტრაპთან შეეგებნენ პარლამენტის თავმჯდომარეს.*

ვახო ხაიტაშვილის ფოტო

# ირაკლი ბათიაშვილისა და დავით თევზაძის ავბედითი პროგნოზი

პირველი გვერდიდან

გიორგი ასანიშვილი

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ირაკლი ბათიაშვილი გამოდის მოთხოვნით, რომ პარლამენტის წინაშე დაისვას ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი და საკანონმდებლო ორგანომ, თანამდებობიდან მათი გადაყენების წინადადებით, საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს. **„საფრთხის განეიტრალებას, სჯობს, რამდენიმე მაღალჩინოსანი შეეწიროს, ვიდრე მთელი ქვეყანა,"** - მირიან გოგიაშვილისა და მისი მოადგილეების პოლიტიკურ გილიოტინაზე აყვანას ირაკლი ბათიაშვილი კატეგორიულად ითხოვს და იქვე დასძენს, რომ დელიკატურობის დრო დამთავრდა.

პარლამენტარი დღეს უკვე მწარედ ნანობს, რომ თავის დროზე 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს დაუჭირა მხარი და, ამის გამო, მეგობრების რისხვა დაიტეხა თავს. იგი აცხადებს, რომ ბიუჯეტის სეკვესტრს მხარს არ დაუჭერს და კოლეგებსაც იგივეს გაკეთებას ურჩევს - ამ შემთხვევაში, ძალოვანი სტრუქტურების ისედაც მწირ ბიუჯეტს კიდევ 20 მილიონი ლარი ჩამოეჭრება.

ის, რომ ძალოვანი უწყებები მართლაც სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, გუშინდელი საკომიტეტო მოსმენისას ნათლად გამოჩნდა. **„2002 წლის დეკემბრიდან შინაგანი ჯარები პანკისის ხეობაში არიან და სამივლინებო ფული დღემდე არც ერთ ოფიცერს არ მიუღია,"** - ჩრივის შინაგანი ჯარების სარდალი გიორგი შერვაშიძე.

უკმაყოფილებას ვერც მესაზღვრეები მალავენ. **„ნორმალურად ფუნქციონირებისა და მოვალეობების შესრულებისთვის 25-27 მილიონი ლარი გვჭირდება, ბიუჯეტში ჩაგვისვეს 10 მილიონი, გვაძლევენ 6 მილიონს,"** - ასე მოკლედ და კონკრეტულად წარმოაჩენს რეალურ სურათს სასაზღვრო დეპარტამენტის წარმომადგენელი.

გუშინ უჩვეულოდ სიტყვაუხვი იყო თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე. პარლამენტში იგი ვრცელი ანგარიშით წარსდგა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა და რა ვერ გაკეთდა მიმდინარე წლის ექვს თვეში. მინისტრს იმის აღნიშვნაც კი არ დავიწყებია, თუ სასწავლო მეცადინეობის დროს რამდენი ჭურვი ასცდა მიზანს. თითქმის ნახევარსაათიან გამოსვლაში თევზაძე განსაკუთრებით ხშირად იმეორებდა ასეთ ფრაზას: საწვავისა და საწვავ-საპოხი მასალების არქონის გამო, ვერ მოხერხდა ამდენი და ამდენი მეცადინეობის ჩატარება. თავდაცვის მინისტრმა ბოლოს განრისხებულმა დატოვა ტრიბუნა: **„ცუდად საქმის კეთებას მიჩვეულები არა ვართ, რადგან ჩვენს უკან ხალხის სიცოცხლე და ქვეყნის უსაფრთხოება დგას. ამიტომ, ან დაგვაფინანსეთ და მოგვეცით საშუალება, რომ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ან სამშობლოსთვის მიცემული ფიცისგან გაგვათავისუფლეთ."**

ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა პესიმისტურმა გამოსვლებმა პარლამენტარ ლევან პირველს კაპიტულანტური განწყობა შეუქმნა. **„ეტყობა, ისღა დაგვრჩენია, პირობითი მოწინააღმდეგე შევარჩიოთ და ტყვედ ჩავბარდეთ,"** - მესტიის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს თეთრი დროშა, ეტყობა, უკვე მომარჯვებული აქვს.

ძალოვან უწყებათა გაჭირვების მთავარ მიზეზად შერაცხულმა ფინანსთა სამინისტრომ, საკომიტეტო მოსმენის დროს, არა თუ უკან დაიხია, არამედ იქით გადავიდა შეტევაზე. კერძოდ, მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა ძალოვნები ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულა. **„რატომ ხდება, რომ, მაგალითად, დიზელის შესასყიდი ფასები ორ უწყებაში თითქმის 30 პროცენტით განსხვავდება და ერთი ლიტრის ფასი ერთგან 75 თეთრია, მეორეგან - 95 თეთრი?"** - მინისტრის ამ კითხვას „გენერლების საკრებულო" დუმილით ხვდება. ამით „გამხნევებული" გოგიაშვილი სხდომის დახურვას ითხოვს და დეპუტატებს ჰპირდება, რომ ამ შემთხვევაში, **„უარეს ფაქტებს გადმოალაგებს"**.



*მირიან გოგიაშვილმა ძალოვანების შეტევას კონტრშეტევით უპასუხა.*

ლევან ხარხელაურის ფოტო

შეტევაში გართულ გოგიაშვილს, ეტყობა, დაავიწყდა, სად იმყოფებოდა და... პარლამენტსაც „გადაუარა". კერძოდ, ძალოვან უწყებათა სათანადოდ დაუფინანსებლობის ერთ-ერთ მიზეზად მან საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული საგადასახადო შეღავათები დაასახელა, რამაც საგადასახადო შემოსავლების ბაზა 40 მილიონი ლარით შეამცირა.

დეპუტატებმა მუნდირის ღირსება უმალ დაიცვეს და მირიან გოგიაშვილს წყლიდან მშრალად ამოსვლის მცდელობა არ აპატიეს: სწორედ ფინანსთა მინისტრის გამოსვლის შემდეგ გაისმა თანამდებობიდან მისი გადაყენების მოთხოვნა.

საერთო პესიმისტური განწყობის მიუხედავად, საკომიტეტო მოსმენის დასასრულს, გვირაბის ბოლოს სინათლე მაინც გამოჩნდა და ის პირველად ირაკლი ბათიაშვილმა შენიშნა. მისი აზრით, მომრიგებლის როლში ბეიკერის საქართველოში სტუმრობის პრეცედენტი უნდა განზოგადდეს და მდგომარეობაც გამოსწორდება.

**„ჩამოვიყვანოთ უსაფრთხოების სფეროში რომელიმე ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც ეტყვის ფინანსთა მინისტრს, რომელ ძალოვან უწყებას ბიუჯეტიდან რა თანხა გამოუყოს,"** - ასეთი მარტივი და „გენიალური" გამოსავალი უპოვია თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს.

არ გაითვალისწინებს ხელისუფლება მის რჩევას და გააგრძელებს ძალოვნების იგნორირებას? ამ შემთხვევაში, რაც მოხდება, მთავრობამ თავის თავს უნდა დააბრალოს. საშიშროება კი, ნუ იტყვით, ძალზე სერიოზულია. **„შეიძლება, ვილაცამ ფულით იმუშაოს და სამხედრო ნაწილები ააჯანყოს,"** - რევოლუციის სუნთქვის მოახლოებას გრძნობს ირაკლი ბათიაშვილი.

# სოცფონდის ადმინისტრაცია ხარჯს არ იკლებს

სოციალური ფონდის ექვსი თვის შემოსავლები 75 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 41 მილიონი ლარია. სოციალური დაზღვევის გადასახადში (დამქირავებელთა და მოქალაქეთა გადასახადი) გარღვევა 21 მილიონი ლარია. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, წლის ბოლომდე გარღვევა, მარტო ამ გადასახადში, 40 მილიონ ლარს მიაღწევს.

ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 55 პროცენტით, გარღვევა 17,72 მილიონი ლარია. ამ პირობებში, წლის ბოლომდე სოციალურ ფონდს ტრანსფერის სახით დააკლდება 20 მილიონი ლარი.

**თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა სიტუაცია, არ მოხდა ბიუჯეტის პარამეტრების რეალობასთან დაახლოება და მთავრობამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო, წლის ბოლომდე სოციალური ფონდში 60 მილიონი ლარის დავალიანება დაგროვდება.**

არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაა სოციალური ფონდის ექვსი თვის ხარჯებში.

**პენსიონერთა პენსიები დაფინანსებულია 78 პროცენტით, გარღვევა 24 მილიონი ლარია. უმუშევრობისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამა დაფინანსებულია 24 პროცენტით. სამაგიეროდ, საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯები დაფინანსებულია 83 პროცენტით. მთავრობის პრიორიტეტი ნათელია.**

დროებით შრომის უუნარობასთან დაკავშირებული დახმარებები შესრულებულია მხოლოდ 0,0008 პროცენტით. 950 ათასი ლარის (ექვსი თვის გეგმა) ნაცვლად, 1 ივლისისათვის დაფინანსებულია 755 ლარი. საინტერესოა, ვისზე გაიცა ეს თანხა?

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

[illegible]

| № | [illegible] | ექვსი თვის გეგმა | შესრულება | % |
|---|---|---|---|---|
| | შემოსავლები | | | |
| 1 | [illegible] | 4,800,000.0 | 3,863,090.0 | 80% |
| 2 | [illegible] | 116,812,400.0 | 96,011,406.0 | 82% |
| 3 | [illegible] | 39,693,000.0 | 21,974,000.0 | 55% |
| 4 | [illegible] | 3,850,000.0 | 2,282,876.0 | 59% |
| 5 | [illegible] | 0 | 100,404.0 | |
| | სულ შემოსავლები | 165,155,400.0 | 124,231,776.0 | 75% |
| | ხარჯები | | | |
| 1 | [illegible] | 107,029,500.0 | 82,990,980.0 | 78% |
| 2 | [illegible] | 950,000.0 | 755.0 | 0% |
| 3 | [illegible] | 7,200,000.0 | 4,844,633.0 | 67% |
| 4 | [illegible] | 22,200.0 | 22,195.0 | 100% |
| 5 | [illegible] | 2,110,700.0 | 750,000.0 | 36% |
| 6 | [illegible] | 6,775,000.0 | 2,683,435.0 | 40% |
| 7 | [illegible] | 24,620,000.0 | 16,105,675.0 | 65% |
| 8 | [illegible] | 5,700,000.0 | 5,074,368.0 | 89% |
| 9 | [illegible] | 916,000.0 | 900,592.0 | 98% |
| 10 | [illegible] | 2,055,000.0 | 831,048.0 | 40% |
| 11 | [illegible] | 3,110,000.0 | 746,093.0 | 24% |
| 12 | [illegible] | 400,000.0 | - | 0% |
| 13 | [illegible] | 390,000.0 | 200,000.0 | 51% |
| 14 | [illegible] | 4,000,000.0 | 3,321,213.0 | 83% |
| | სულ ხარჯები | 165,278,400.0 | 118,470,697.0 | 72% |

# სახელისუფლებო „დეჟავიუ"

თამარ ხორბალაძე

ეს უკვე იყო:

აფხაზეთიდან დევნილთა საპროტესტო გამოსვლები სამშვიდობო ძალების გაყვანისა და კონფლიქტის სასწრაფოდ დარეგულირების მოთხოვნით;

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საჯარო დაპირისპირება ხელისუფლების კურსთან;

უკვე იყო უშიშროების საბჭოს სხდომიდან გამოსული კმაყოფილი ნადარეიშვილი, რომელიც ამბობდა, რომ პრეზიდენტმა და უშიშროების საბჭოს წევრებმა მისი პოზიცია, ძალით მშვიდობის დამყარების აუცილებლობასთან დაკავშირებით, გაიზიარეს;

უკვე იყო საპრეზიდენტო დავალება ხელისუფლებისათვის – შეიმუშავეთ სპეციალური მიმართვა გაერო-ს სახელზე, რომელშიც ე.წ. მეშვიდე მუხლის ამოქმედების, ანუ მშვიდობის ძალით დამყარების და სამშვიდობოების მანდატის შეცვლის საკითხები იქნება გათვალისწინებული...

ეს ყველაფერი ამ დღეებში, გაერო-ს უშიშრობის საბჭოს მორიგი სხდომის წინ, შემაშფოთებელი და ურცხვი სიზუსტით განმეორდა.

მართალია, ახლა ლტოლვილთა პროტესტს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია დაერთო, რომელმაც ხელისუფლების სახელზე სპეციალური მიმართვა მიიღო, და ნადარეიშვილის გარდა, მკაცრი განცხადებები უკვე ლონდერ ცაავამაც გააკეთა, მაგრამ არსი არ შეცვლილა.

არ შეცვლილა არც ფორმა – მიმართვა ისევ უშიშროების საბჭომ განიხილა და ისევ გაიცა საპრეზიდენტო დავალება უშიშროების საბჭოს მიერ არა მხოლოდ გაერო-ს, არამედ სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და მეგობარი ქვეყნებისთვის ახალი წერილების დაგზავნის თაობაზე.

როგორც უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ განაცხადა, **"პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სხდომაზე შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა, გააფორმონ დოკუმენტი იმ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომელიც დამატებით უნდა გადაიდგას აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად. ნაგულისხმევია ამ მუშაობის გააქტიურება და სპეციალური მიმართვის გაგზავნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს, ეუთო-ს, ევროკავშირისადმი და მეგობარი ქვეყნების ლიდერებისადმი, სადაც მოცემული იქნება არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, არამედ კონკრეტული მოთხოვნები და წინადადებები, რომელსაც ხელისუფლება დასვამს".**

ჯერ წერილს ოფიციალური ფორმა არ მიუღია, თუმცა ორიოდე დღეში ეს წერილი დაიწერება და დაიგზავნება. ასე ფიქრობს საქართველოს ხელისუფლება და, მასთან ერთად, როგორც ჩანს, დევნილი ხელისუფლებაც სიტუაციის განმუხტვას... იქნებ – აქცენტების გადატანას, იქნებ – ქმედითობის ილუზიის შექმნას.

ახალი რომ არაფერი მომხდარა და ეს ყველაფერი უკვე იყო, თავად ხელისუფლებაც აღიარებს, რადგან კარგად უწყის, რომ 2003 წლის იანვრის სატელევიზიო და საგაზეთო არქივებში მშვენივრად შეიძლება ყველაფერ იმის მოძიება, რაც გუშინ ისევ მოხდა.

რაც შეეხება გუშინდელ კომენტარებს: ნადარეიშვილი და ცაავა კმაყოფილებას არ მალავდნენ, პრეზიდენტთან პოლიტიკური დაპირისპირების ფაქტს კი, უარყოფდნენ.

თავდაცვის მინისტრი ამბობდა, რომ ომი არ იქნება.

საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი კი აცხადებდა:

**"აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისათვის ქართული მხარე, უკვე დიდი ხანია, აღნიშნული პუნქტის ამოქმედების საკითხს სვამს. იმ არაკონსტრუქციული მიდგომის პირობებში, როდესაც მოლაპარაკების მეორე მხარე უარყოფს ყველა გონივრულ კომპრომისს, წინადადებასა და საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნას, ლოგიკურია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ გადადგას ის ნაბიჯები, რაც აიძულებს ყველა მხარეს უფრო სერიოზულად მიუდგეს პრობლემის გადაწყვეტის საკითხს...**

**მეშვიდე პუნქტი პირდაპირ ძალის გამოყენებას არ გულისხმობს, არამედ, პირველ რიგში, იძულებითი ღონისძიებების გატარებას ნიშნავს. ცივილიზებულ სამყაროში მიღებული პოლიტიკური და სხვა საშუალებებით საერთაშორისო თანამეგობრობის ზემოქმედების არაეფექტურობის შემთხვევაში, შესაბამისი ნაბიჯებიც იქნება გადადგმული, რაც ექსტრემალურ პირობებში ძალის გამოყენებასაც ითვალისწინებს"...**

**მეშვიდე პუნქტის ამოქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივაა და აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, ქართული მხარის მიერ ძალის გამოყენებაზე საუბარი არაა".**

სხვათა შორის, უკვე იყო საქართველოს ხელისუფლების მსგავს მიმართვაზე გაერო-ს პასუხიც. იანვრის მიწურულს, გაერო-ს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის საკითხზე სულ 2 წუთით იმსჯელა, საქართველოს წარმომადგენელს გაერო-ში რეზო ადამიას კი გამოსვლის უფლება არ მისცა. რადგან იმედი ბოლოს კვდება, ხელისუფლებაში, ჩანს, იმედოვნებენ, რომ დღეს სიტუაცია შეიცვალა.

იყო გუშინ ერთი ახალი დეტალიც: ეროვნული უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეთხოვოს პარლამენტს, დააჩქაროს და უახლოეს სესიაზე დაიწყოს საქართველოს რომის კონვენციისათვის მიერთების საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.

# დააბნევენ თუ არა „ახალი დემოკრატები" „გაერთიანებული დემოკრატების ელექტორატს?

ჩვენთან ახალი პარტიის შექმნას, მგონი, მართლაც მხოლოდ პირველი და მეორე ხმა უნდა. ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ახლა "ახალი დემოკრატებიც" არსებობენ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გუშინ შედგა. ყრილობა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა და მას, დაახლოებით, ასი კაციც არ ესწრებოდა. ეს მიუხედავად იმისა, რომ პარტიის თავმჯდომარის გიორგი გეგეჭკორის მტკიცებით, ახალ დემოკრატებს უკვე 3000 წევრი ჰყავთ. ახალი პარტიის ახლადარჩეული თავმჯდომარე გასამართლებლად საპატიო ტექნიკურ მიზეზებს ასახელებდა. გეგეჭკორი ცუდ დასწრებას საინფორმაციო საშუალებებს აბრალებდა, რომლებმაც ღონისძიების საათი შეცდომით გაავრცელეს. უკვე წინა დღით, პარტიის სახელწოდების გამო, გაჩნდა ვერსია, რომ პარტია სახელისუფლებო ბლოკის მიერ "გაერთიანებული დემოკრატების" ელექტორატისთვის თავგზის ასაბნევად შეიქმნა.

# ჯემალ გოგიტიძე: უკვე არსებობს გაყალბებული ბიულეტენები

საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე არ გამორიცხავს საპროტესტო აქციებს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებასთან დაკავშირებით.

გუშინ ფრაქცია „21-ე საუკუნის" მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე გოგიტიძემ თქვა, რომ შესაძლოა, „აღორძინება" „სრულად განერიდოს ამ სიტუაციას". მისი ინფორმაციით, უკვე არსებობს გაყალბებული ბიულეტენები და პირადობის მოწმობები.

ჯემალ გოგიტიძის აზრით, „ახალი მემარჯვენეები", „გაერთიანებული დემოკრატები", „ნაციონალური მოძრაობა" და პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ერთ ბანაკში იმყოფებიან და ისინი უკვე ჩამოყალიბებულნი არიან ცესკო-ს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

# რუსეთ-საქართველოს საზღვარზე იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს მესაზღვრეებმა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე აღმოაჩინეს იარაღის სამალავი, საიდანაც ამოიღეს ოთხი ხელყუმბარა და 7.62 მმ კალიბრის 680 ტყვია. ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

სულ, 2003 წელს, ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის მესაზღვრეებმა ამ გზით მოიძიეს იარაღის 80 ერთეული და 65 ათასი ერთეული ტყვია-წამალი, — იუწყება რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი". **მედია-ნიუსი**

# სწავლა და ფული, ფული და სწავლა

პირველი გვერდიდან

სამართლისა და ბიზნესის გერმანულენოვან ფაკულტეტზე, შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს უფასო სტუდენტებს უკვე აღარ მიიღებენ. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სულ უფრო მატულობს ისეთი ფაკულტეტების რიცხვი, სადაც მხოლოდ ფასიან განყოფილებებზე იღებენ.

მოკლედ, თუ თვალს დავხუჭავთ იმაზე, რომ სახელმწიფო უმაღლესების წარმატებული ფაკულტეტების "უფასო სწავლებაზე" მოხვედრა, ხშირ შემთხვევაში, ბევრი ფული ღირს, რეალურად რჩება საბიუჯეტო სექტორის პატარა ნიშა, სადაც ყველა მსურველი ვერ ეტევა. დაგაკლდება ერთი ქულა და ბაც, გადადი ფასიანზე.

ჯერ არავის დაუდგენია იმ ახალგაზრდათა რიცხვი, ვინც იძულებული გახდა, საფასურის გადაუხდელობის გამო სწავლისთვის თავი დაენებებინა. არც მათი რიცხვია დაზუსტებული, ვინც უსახსრობის გამო სასურველ უმაღლესზე უარი თქვა და შედარებით დაბალფასიან ან უფასო სასწავლებელს შეაფარა თავი. თუმცა, ალბათ, განსაკუთრებული კვლევა არ სჭირდება იმ იმედგაცრუებას, რასაც ეს ახალგაზრდები შეიძლება გრძნობდნენ.

ამგვარ პრობლემას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად უვლიან. თუმცა, ძალიან რომ განვაზოგადოთ, საკითხის მოგვარების სამი ძირითადი გზა არსებობს:

პირველი: უმაღლესი განათლება უფასოა და იგი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომია, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, სადაც უმაღლესთა თითქმის 80 პროცენტს უფასო სახელმწიფო სასწავლებლები შეადგენენ.

მეორე: სახელმწიფოს სტუდენტებზე განსაკუთრებული პატრონაჟი აქვს აღებული. ისე, როგორც, მაგალითად, ფინეთში, სადაც სახელმწიფო ზრუნავს არა მხოლოდ სტუდენტთა სტიპენდიებზე, არამედ ცალკე გამოყოფს ფულს, რათა ახალგაზრდების დამოუკიდებლად ცხოვრება მაქსიმალურად უზრუნველყოს.

მესამე: ე.წ. ამერიკული მოდელი, სადაც უმაღლესი განათლება ძირითადად კერძოა, და სადაც სწავლის დაფინანსების უაღრესად დახვეწილი საკრედიტო და საგრანტო სისტემა მუშაობს. აშშ-ში სტუდენტთა დიდი ნაწილი ბანკიდან იღებს გრძელვადიან სესხს. ბანკისთვის გარანტი უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟულობაა. მათ იციან, რომ ამა თუ იმ უმაღლესის კურსდამთავრებული მომავალში აუცილებლად დასაქმდება და ვალის გასტუმრება არ გაუჭირდება.

სამწუხაროდ, საქართველო, ჯერჯერობით, ვერც ერთ ამ გზას ვერ მოერგო. ფაქტობრივად, სწავლა



ნერვიულობენ ისინი ვისაც გადახდილი არა აქვს.

უფასო აღარ არის. სახელმწიფოს სტუდენტთათვის სწავლის ქირის გადახდის რაიმენაირად უზრუნველსაყოფად მოქნილი სისტემის შექმნა არ შეუძლია. საგრანტო ფონდები თითქმის არ არსებობს. დიდი-დიდი, რომელიმე ფირმამ ან რაიმე უწყებამ, რომლის შემოსავლის წყაროც, თავისთავად, საეჭვოა, ათასში ერთხელ, ყოველგვარი კონკურსის გარეშე, ერთი სტუდენტი "დაასპონსოროს". ქართული ბანკები სესხს კი გასცემენ ხოლმე, მაგრამ არა სტუდენტურს. საქართველოს ბანკებში სესხის მიღების სამი ფორმა არსებობს: ბიზნეს კრედიტი, ჰიპოთეკური კრედიტი და ე.წ. სამომხმარებლო სესხი კერძო პირებზე.

კითხვით, თუ რატომ არ მკვიდრდება ჩვენთან ბევრ ქვეყანაში გავრცელებული სტუდენტზე კრედიტის გაცემის პრაქტიკა, მივმართეთ "ბაზის ბანკის" დირექტორს, ბატონ ზურაბ ციხისთავს.

**"სტუდენტური სესხი თავისი არსით გრძელვადიანია. ქართული ბანკების სადეპოზიტო ბაზა - სხვადასხვა კომპანიების თუ კერძო პირებისგან მოზიდული თანხები კი მოკლევადიანი, რაც გრძელვადიანი სესხის გაცემას მოუხერხებელს ხდის. სირთულეს ქმნის დასაქმების პრობლემაც. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ბანკის მიერ დაფინანსებული სტუდენტი იპოვის ისეთ სამსახურს, რომ კრედიტი გადაიხადოს (მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, სამსახურში მიღებისას, მხოლოდ პროფესიონალიზმი არ არის გადამწყვეტი). შესაძლებელია, ამ მიზნისთვის ახალგაზრდამ სამომხმარებლო სესხი ისარგებლოს, მაგრამ ეს ისეთი სესხია, რომელიც მომავალზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ პროცენტებს დღევანდელ ქონებაზე. შესაბამისად, სესხი ოჯახის წევრებმა (მშობლებმა) უნდა აიღონ. თუმცა, დღეს ამ სახით სესხის აღებასაც სირთულეები ახლავს, რადგან - თუ უზრუნველყოფის წარმოდგენა, ბინა იქნება ეს, მანქანა თუ სხვა სახის უძრავ-მოძრავი ქონება, უფრო ადვილია, დღეისის წყაროს წარმოდგენა, ბანკები სამუშაოს წარმოდგენას ბევრს არ შეუძლია,"** - განმარტა მან.

შეიძლება ამას ყურადღებას არ ვაქცევდეთ, მაგრამ ბატონ ზურაბის მიერ ნახსენები სირთულე დღევანდელი საზოგადოების სერიოზული პრობლემაა. დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი იღებს შედარებით ნორმალურ ხელფასს. მაგრამ, მისი ოფიციალურად გაფორმების შემთხვევაში, იგი ისე დაიბეგრება, რომ ხელფასისგან, პრაქტიკულად, აღარაფერი დარჩება. მოკლედ, სტუდენტური სესხის შემოღება ჩვენს სახელმწიფოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონს უშლის ხელს. სტუდენტებისა და მათი მშობლების ლაპარაკების საშუალებას კი აფერხებს "ერთობ მოცდილი" საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც ისეა შემუშავებული, რომ ადამიანებს საქმეთა კანონიერი გზით წარმართვის სურვილს სრულად უსპობს.

ყოველივე ამის დარეგულირებისთვის კი და თავიდან აწყობას განათლებული ხალხი სჭირდება, შესაბამისი განათლებით კი - შესაბამისი ფული. შესაბამისი ფული მხოლოდ შესაბამის ეკონომიკურ გარემოში ჩნდება, შესაბამის გარემოს კი შესაბამისად განათლებული ხალხი აჩენს. ასე რომ, მანკიერ წრეზე ვიარეთ, ვიარეთ და ისევ "პირველ სიტყვასა მოვედით". მაგრამ, რად გინდა, პირველი სიტყვაც და ძაღლის თავიც ისევ ჩვენი სახელმწიფოს უსუსურობაშია დამარხული.

# გატაცებული თურქის გათავისუფლებას სამართალდამცველები არ ადასტურებენ

*სამეგრელო-ზემო სვანეთის სამართალდამცველი ორგანოები არ ადასტურებენ 9 ივლისს, დილით, ზუგდიდიდან გატაცებული თურქეთის მოქალაქის გათავისუფლების ფაქტს.*

როგორც ცნობილია, გუშინწინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გატაცებული, 26 წლის თურქი აერინ ნეკი დიკი 10 ივლისს, საღამოს გაათავისუფლეს და მისი გათავისუფლება უშუალოდ სამხარეო პოლიციის უფროსის ელგუჯა ჯამბურიას ჩარევით მოხდა. კერძოდ, საუბარია ნეკი დიკის სამ, ზუგდიდის რაიონში ტყვედმყოფ აფხაზში გაცვლაზე, რაშიც ცალკე აფხაზების და ცალკე ნეკი დიკის მშობლებმა გამტაცებლებს გარკვეული თანხა გადაუხადეს. მეტიც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, გადახდილი თანხიდან წილი პოლიციასაც ერგო.

თუმცა, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე სერგო ჩაჩიბაია ნეკი დიკის გათავისუფლების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

**"ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ და უახლოეს მომავალში მისი გათავისუფლების შესახებ მართლაც შეიტყობთ"**, - სრული პასუხისმგებლობით აცხადებს ჩაჩიბაია.

გაურკვეველ მდგომარეობაშია ზუგდიდის რაიონის პროკურორი მურთაზ ნარმანია, რომელიც უშუალოდ უწევს ზედამხედველობას ნეკი დიკის გატაცების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას.

**"მე გავეცი განკარგულება, რომ, როგორც კი აერინ ნეკი დიკი გამოჩნდება, მაშინვე წარმოადგინონ პროკურატურაში დასაკითხად. ის ჯერ არავის მოუყვანია. პოლიცია მარწმუნებს, რომ ცნობა მისი გათავისუფლების შესახებ, სიცრუეა"**, - ამბობს პროკურორი.

მიუხედავად სამართალდამცველთა კომენტარებისა, ჩვენს ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციით, აერინ ნეკი დიკი მშობლებთან გუშინწინ საღამოსვე მიიყვანეს, რის შემდეგაც სასწრაფოდ ბათუმის გზას გაუყენეს.

# გატაცებული ფეხმძიმე გოგონა გამოიხსნეს

გუშინ ენგურის ხიდზე აფხაზურმა და ქართულმა მხარეებმა ტყვეები გაცვალეს. როგორც ცნობილია, ხუთშაბათს, ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე დაისვა გალის რაიონის სოფლიდან გატაცებული 16 წლის ფეხმძიმე ქალის ჩიორა ბარქაიასა და მისი სიმამრის გათავისუფლების საკითხი. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას თქმით, ისინი, ცოტა ხნის წინათ, აფხაზეთის ტერიტორიიდან ნიკოლაი სინიაკოვის გატაცების გამო შურისძიების მიზნით გაიტაცეს. სწორედ ნიკოლაი სინიაკოვში გაცვალა გუშინ ქართულმა მხარემ გალიდან გატაცებული ტყვეები. როგორც ირკვევა, რუსი ეროვნების, ტყვარჩელში დაბადებული სინიაკოვი, რომელიც აფხაზთა სასაზღვრო ძალებში მსახურობს, ქართველ პარტიზანებს ჰყავდათ ტყვედ აყვანილი.

# გათავისუფლებულია კიდევ ერთი გატაცებული

სამართალდამცველი ორგანოები კარგა ხნის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდნენ ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე მდებარე ბაზრობის ერთ-ერთი მეწილის, მუხრან ბაგრატიონის 17 წლის ქალიშვილის გატაცების ფაქტს. არადა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გატაცება დაახლოებით ორი კვირის წინათ მოხდა. თავდაპირველი ეჭვი, რომ გოგონა ცოლად მოყვანის მიზნით გაიტაცეს, არ გამართლდა. პოლიცია მთელი ორი კვირის მანძილზე გატაცების დეტალებს მკაცრად ასაიდუმლოებდა, თუმცა, ვერც ფაქტს უარყოფდა.

ორკვირიანი ტყვეობის შემდეგ კი გოგონა უვნებელი დააბრუნეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახმა მის გათავისუფლებაში მსხვილი თანხა გადაიხადა, მეტიც, მისი გამოხსნის საქმეში საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი კრიმინალური ავტორიტეტებიც იყვნენ ჩართულნი.

სხვათა შორის, გატაცებული გოგონას უვნებლად გათავისუფლების შემდეგაც, სამართალდამცველი ორგანოები, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერაც ერიდებიან მომხდარის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცემას.

ერთადერთი, რაც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის თამაზ გეთიასგან შევიტყვეთ, ის გახლავთ, რომ სისხლის სამართლის საქმე გატაცებასთან დაკავშირებით, გოგონას გაუჩინარებისთანავე აღიძრა. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება და ოპერატიული სამუშაოები, გამტაცებელთა ვინაობის დადგენისა და მათი დაპატიმრების მიზნით.

# გელაევის რაზმის განსასჯელ წევრთა შორის ერთი ქართველია

რუსეთის გენერალური პროკურატურის ჩრდილოეთ კავკასიის სამმართველომ დაასრულა ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმის წევრების საქმის ძიება. იმ პირთა შორის, რომლებსაც გამოძიება ბრალად სდებს 2002 წლის სექტემბერში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შეჭრას და სოფელ გალაშკისთან, რამდენიმე დღის მანძილზე, ფედერალურ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლას, ერთი ქართველია – მურთაზ მანია. მას და კიდევ ოთხ მებრძოლს: შახ ნაჟაევს, ახმედ დულაევს, ტაჰირ ჯანტუევსა და იავერ აშუროვს პროკურატურამ წაუყენა ბრალდება შეიარაღებული აჯანყების, ბანდიტიზმის, ტერორიზმის და სამხედრო მოსამსახურეთა მასობრივი მკვლელობისთვის.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ხუთივე ბრალდებულმა აღიარა, რომ გელაევის რაზმში მოხალისეებად 2001 წლის თებერვალში, ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ჩაეწერნენ. მათივე აღიარებით, 2002 წლის 20 სექტემბერს რუსლან გელაევის ბრძანების თანახმად, 300-მდე მებრძოლმა ოსური სოფლის ცარსკოესა და ინგუშეთის სოფელ გალაშკის გავლით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოხვედრა სცადეს, თუმცა, რუსულ სამხედრო შენაერთებს გადააწყდნენ. რამდენიმე დღის მანძილზე მათ შორის წარმოებული საბრძოლო მოქმედებებისას დაიღუპა და დაიჭრა 38 სამხედრო პირი, დაცხრილულ იქნა სამხედრო სატვირთო მანქანა და ჩამოგდებული ერთი ვერტმფრენი. დაიღუპა გელაევის რაზმის რამდენიმე წევრიც, ნაწილი დააპატიმრეს, დანარჩენები კი მცირე ჯგუფებად დაიშალნენ და მიმალვა მოახერხეს.

# კახა თარგამაძე: ზოგი რეზონანსული დანაშაული ვერასდროს გაიხსნება

პირველი გვერდიდან

ინგა ალავიძე

**კახა თარგამაძე:** - ესპანელების საქმე დღეს არ გახსნილა და ის პიროვნებები, ვინც დააკავეს, დღეს არ გამოვლენილან. სხვათა შორის, ამ და სხვა გატაცების თაობაზე პროკურატურაში ოფიციალური ვიდეოჩანაწერი არსებობს, სადაც დეტალურადაა მოთხრობილი სხვადასხვა დანაშაულების შესახებ. საქმე ისაა, რომ 2001 წელს, კახეთში დავაკავეთ პიროვნება, შოთა ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრი, რომელმაც დეტალურად მოგვიყვა, ვინ გაიტაცა ესპანელები, სხვა ადამიანები როგორ გაიტაცეს, ვინ "კრიშავდა" ესპანელთა და სხვათა გატაცებას, საერთოდ, ვინ რას აკეთებდა. მისი ჩვენება ვიდეოფირზე ჩავწერეთ, გადავეცით პროკურატურას და შემდეგ ის საქმეს დაერთო. ეს პიროვნება უშუალოდ მონაწილეობდა ერთ-ერთ გატაცებაში. ის მოგვიყვა სხვა მოსალოდნელი გატაცებების შესახებაც, რომელსაც ეს ჯგუფი გეგმავდა. ამიტომაც, მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება, პროკურატურას მის სხვადასხვა უწყებებში აღძრული გატაცების საქმეები გამოვათხოვინე და ცენტრალურ აპარატში გავაერთიანებინე, ჩავატარეთ მოსმენები და გამტაცებლებზე სანქციები გაიცა, მათ შორის - ჭიჭიაშვილზეც. მინდა ვთქვა, რომ შოთა ჭიჭიაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულები ჩვენ გავხსენით და დავტოვეთ ძალზე სერიოზული მასალები. ჭიჭიაშვილს მთელი წელიწადი დასდევდა ზურა ჩხაიძე, მას დეტალური ინფორმაციები ჰქონდა, თუ სად და როგორ გადაადგილდებოდა ის და კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ძებნა ყაზახეთიდან დაიწყო და, საბოლოოდ, ის საქართველოს შსს-ს წარმომადგენელმა ამური კვერნაძემ დააკავა.

ჩვენთვის ჭიჭიაშვილის დაჭერა ჰაერივით საჭირო იყო, რადგან ის საკმაო ინფორმაცას ფლობდა მისი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. მინდა ვთქვა, რომ ჭიჭიაშვილს საქართველოში უამრავი ისეთი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელიც ვერასდროს გაიხსნება. საერთოდ, ჭიჭიაშვილის იდეალიზება მოხდა, იქ იყვნენ სხვებიც, გაცილებით სერიოზული კრიმინალები, რომლებიც დაიღუპნენ. შოთა ჭიჭიაშვილი იყო "პეშკა", დახვეწილი კრიმინალი, რომელიც ძალიან კარგად, ნიჭიერად ასრულებდა შეკვეთებს, აი, ეს იყო ჭიჭიაშვილი.

მე არ წამიკითხავს ესპანელ ბიზნესმენთა ჩვენებები, რადგან საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ის, რასაც ისინი ლევან კენჭაძეზე აცხადებენ, ბლეფია. კენჭაძეს ჭიჭიაშვილისთვის სერიოზული ომი ჰქონდა გამოცხადებული. ერთადერთი კაცი, ვინც მასთან იარაღის გარეშე მისვლას ბედავდა - ეს კახა ბაკურაძე იყო. მას ოთხი ავტომატი ჰქონდა მიდებული საფეთქელზე, როცა მათთან შევაგზავნე. სწორედ კახა ბაკურაძის დამსახურებით გათავისუფლდნენ წითელი ჯვრის წარმომადგენლები, პეტრე ცისკარიშვილი. ამხელა უბედურება გადავიტანეთ და უსამართლოდ ჩაქოლეს ეს ბიჭები. სირცხვილია, როცა ამ ბიჭებს ათას სიბინძურეს აბრალებენ. ჩაატარეთ გამოძიება, როგორ მოხვდნენ ბოევიკები პანკისში, როგორ შემოვიდა ხეობაში გელაევი და მისი რაზმი და შემდეგ როგორ გადაადგილდნენ. სხვათა შორის, ამ ყველაფრის თაობაზე სერიოზული დოკუმენტები არსებობს. იცით, საქმე ის არის, რომ მე ვერ ვამბობ ყველაფერს, რადგან სახელმწიფოს ვუფრთხილდები.

ჩემზე ამბობენ, თარგამაძე მფარველობდა ჭიჭიაშვილსო. სასაცილოა, როგორ შეიძლება ჭიჭიაშვილს თარგამაძე მფარველობდეს. ჩვენ მაზოხისტები ხომ არ ვიყავით, ვიტაცებდით ადამიანებს და შემდეგ ვომობდით, სიკვდილზე მივდიოდით? სად არის ლოგიკა? როგორ ფიქრობთ, ნორმალური ადამიანი ასეთ რამეს გააკეთებს? საკუთარ თავს ომს გამოუცხადებს?

# კახა ბაკურაძე: მე დიდი პიარის მსხვერპლი გავხდი

პირველი გვერდიდან

**- ესპანელ ბიზნესმენთა გატაცება ანგარების მოტივით მოხდა, თუ ეს გატაცება საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს იმიჯის შელახვას ისახავდა მიზნად, ანუ, ჰქონდა თუ არა მას პოლიტიკური საფუძველი?**

- მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერ გატაცებას რეზონანსი ყოველთვის მოჰყვება, ნებისმიერი გატაცება ქვეყნის და მისი ხელისუფლების იმიჯს ლახავს. თუ რა იყო ამ გატაცების მიზანი, ეს იყო მხოლოდ ფულის გამოძალვის საბაბით დაგეგმილი თუ მას პოლიტიკური ხაზი გასდევდა, ამის თაობაზე ვერსიების დონეზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ საბოლოო დასკვნა გამოძიებამ უნდა გააკეთოს, ამიტომაც დაველოდოთ გამოძიებას, რომელიც, იმედია, რეალურად იტყვის თავის სათქმელს.

**- თქვენ მინისტრის მოადგილის პოსტი გეკავათ და, ბუნებრივია, საკმაოდ სოლიდურ ინფორმაციებს ფლობდით. სწორედ იმ პერიოდში მოხდა ძალიან ბევრი რეზონანსული დანაშაული და ყველა მათგანის ორგანიზატორი შოთა ჭიჭიაშვილი იყო, შოთა ჭიჭიაშვილი, რომელიც ახლა ოდიოზურ ფიგურადაა გამოცხადებული. როგორ შეიქმნა და ვინ შექმნა ეს ძალა?**

- ჭიჭიაშვილი არაფერი ისეთი ძალა არ ყოფილა. ოდიოზურ ფიგურებს ჩვენ ვქმნით. თქვენ, ალბათ, გახსოვთ არაერთი ოდიოზურ ფიგურად გამოცხადებული პირი, რომლებიც თითქოს მთელს საქართველოს უქმნიდნენ საფრთხეს. სახელს და იმიჯს საზოგადოება გარკვეული მიზნისთვის ქმნის. ჭიჭიაშვილი განსაკუთრებული ფიგურა არ ყოფილა, ის იყო ჩვეულებრივი საშიში კრიმინალი, რომელმაც ლოგიკურად დაამთავრა საქმიანობა, ახლა დაკავებულია, წარსდგება გამოძიების წინაშე და ყველა კითხვას გასცემს პასუხს. ე.წ. ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრებზე კარგა ხნის წინ გაიცა სანქციები. ყველა დამნაშავის ბოლო ის არის, რომ მან პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ასე მოხდა ჭიჭიაშვილის შემთხვევაშიც.

**- როცა საუბარია პანკისის ხეობაში არსებულ კრიმინალურ ანკლავზე, ადამიანის გატაცებებზე, ყოველთვის მიდის საუბარი იმაზე, რომ ამ კრიმინალურ დაჯგუფებებს ზურგს მაღალჩინოსნები უმაგრებდნენ.**

- გეტყვით, ამის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ საზოგადოებას არ გააჩნია ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა, როგორ მიმდინარეობდა მძევლების გათავისუფლება და, საერთოდ, ბრძოლა ამ დაჯგუფებების წინააღმდეგ. ყველა კრიმინალი თავის დროზე მხილებული იყო, მათზე სამი წლის წინ სანქციები გაიცა და გამოცხადდა ძებნა. მაშინვე ჯგუფის დიდი ნაწილი დავაკავეთ კიდეც, მათგან მოვიპოვეთ სერიოზული ჩვენებები და მათ საფუძველზე საკმაოდ სერიოზული მასალები შეიქმნა. იცით, ზოგიერთისთვის ამაზე საუბარი ძალიან ადვილია, მაგრამ მათთან ბრძოლა არ იყო ადვილი და ჩვენ ეს მაშინ შევძელით.

**- ფაქტობრივად, იგივე კითხვას ვიმეორებ. მაინტერესებს, ამ მუშაობის პროცესში, თქვენს მიერ შექმნილ მასალებში თუ არის საუბარი მაღალჩინოსნებზე, ანუ, თუ გამოავლინეთ თანამდებობის პირები, რომლებიც კრიმინალებთან ალიანსში იყვნენ?**

- იცით, რაშია საქმე? მაღალჩინოსანზე როცა მიდის საუბარი, რატომღაც ფიქრობენ, რომ ის აუცილებლად სერიოზული თანამდებობის პირი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, გამოვლინდა გარკვეული პიროვნებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ კრიმინალებს და მათთან ალიანსში იყვნენ. თქვენ ახლა, რა თქმა უნდა, მათ დასახელებას მომთხოვთ, მაგრამ დაგასწრებთ და გეტყვით, რომ რაც ვთქვი, ალბათ, ისიც არ უნდა მეთქვა, მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს გამოძიების საქმეა და დარწმუნებული ვარ, ის გამოავლენს მათ. თუმცა, მაინც გეტყვით, რომ არ შეიძლებოდა, თბილისსა და პანკისს შორის კავშირი არ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა, ამ ჯგუფს არ ჰყოლოდა დამხმარეები, ჩვენს ოპერატიულ ინფორმაციას გამოძიება გაუკეთებს ანალიზს და დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანი პასუხს აგებს.

**- თითქმის ყველა შემთხვევაში მძევალთა გათავისუფლება კრიმინალებთან მოლაპარაკების შედეგად ხდებოდა. რამდენად სწორად მოგაჩნიათ ფაქტი, როცა სახელმწიფო კრიმინალებთან გარიგებაზე მიდის?**

- არა, ასე არ არის. როგორ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ კრიმინალებთან რაიმე გარიგებას ჰქონდა ადგილი, როცა თითოეულ მათგანზე სანქცია გაიცა, მათი დიდი ნაწილი დავიჭირეთ და მათ წინააღმდეგ სერიოზული სამხილები მოგროვდა. როგორ შეიძლება რაიმე ალიანსზე საუბარი?

**- ასე მოხდა წითელი ჯვრის წარმომადგენლების გათავისუფლებისას, როცა ჭიჭიაშვილს, ფაქტობრივად, აპატიეს დანაშაულებები. კრიმინალებთან მოლაპარაკების შედეგად გათავისუფლდა ცისკარიშვილი...**

- არანაირ გარანტიებზე არ ყოფილა საუბარი, მათ შეეცვალათ აღმკვეთი ღონისძიება და ისინი არავის შეუწყალებია, მათთვის არავის არაფერი უპატიებია. მიბრძანდით სასამართლოში და ამის თაობაზე იქ გაგცემენ კონკრეტულ პასუხს. საერთოდ, გეთანხმებით, ბუნებრივია, სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება კანონის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, ნებისმიერი ტაქტიკური ნაბიჯსაც კი კანონი უნდა ედოს საფუძვლად. ამიტომაც, რაღაც გარიგებებზე და ალიანსზე საუბარი უაზრობაა. რაც შეეხება ცისკარიშვილს, რომელ გარიგებაზეა საუბარი, როცა ცისკარიშვილის გამტაცებელი დაკავებული და გასამართლებულია.

**- მხედველობაში მქონდა გათავისუფლების პროცესი, როცა "კანონიერი ქურდები" ჩარიეთ ამ პროცესში. როგორც ცნობილია, გამტაცებელი კარგა ხნის შემდეგ დააკავეს...**

- ამ ინფორმაციებს ვიღაც "კანონიერი ქურდების" შესახებ მეც ვისმენდი და ვკითხულობდი. გახსოვთ, ალბათ, პირდაპირი ჩართვები და რეპორტაჟები, მაგრამ მე თქვენზე გაცილებით მეტ ინფორმაციას ვფლობ და მერწმუნეთ, ასე არ ყოფილა.

**- ძალზე საეჭვო ვითარებაში მოხდა არაბი ბიზნესმენის გათავისუფლება. ცნობილია, რომ ეს ოპერაცია თქვენ ჩაატარეთ.**

- საეჭვო არაფერი ყოფილა. არაბი ბიზნესმენის გათავისუფლება შედეგი იყო იმ ოპერატიული მუშაობისა, რასაც აწარმოებდა ქალაქის სამმართველო, რომელსაც სოსო ალავიძე ხელმძღვანელობდა. არაფერი ამ საქმეში საეჭვო არ ყოფილა, მისი გათავისუფლება მოხდა მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში მიმდინარე დაძაბული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად.

**- თქვენთვის, ალბათ, უცხო არ იქნება, თუ გკითხავთ, რომ რამდენიმე რეზონანსულ საქმესთან – იგივე არაბი ბიზნესმენის, ესპანელების გატაცებასთან თქვენი სახელი საეჭვოდ დაკავშირდა.**

- არა, ამაში ვერ დაგეთანხმებით, არანაირად საეჭვოდ არ დაკავშირებულა და ვერც დაკავშირდებოდა, რადგან ეს აბსურდია. ზოგიერთებმა ეს ჭორი ძალიან კარგად ააგორეს. მე მათ შესახებ ყველაფერი ვიცი. ვიცი, საიდან, რატომ მოდიოდა ეს ინფორმაცია. ეს არის პიარი, რომელიც მიმდინარეობდა არა მხოლოდ ჩემს წინააღმდეგ, არამედ, საერთოდ, შსს-ს წინააღმდეგ. არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს თავს ვიმართლებ, რადგან თავის სამართლებელი არაფერი მჭირს, მაგრამ ლოგიკას რომ გავყვეთ, ეს აბსურდია. მაშინ მე მინისტრის მოადგილე ვიყავი, კრიმინალურ პოლიციას ვხელმძღვანელობდი და სწორედ იმ პერიოდში მოხდა გამტაცებლებზე სანქციების გაცემა, მათ წინააღმდეგ მასალების შეგროვება, ეს გვარები ახლა არ ამოტივტივებულა, გიმეორებთ, ძალიან სერიოზულად ვმუშაობდით მათ წინააღმდეგ და თან კავშირი გვქონდა? სად არის აქ ლოგიკა?

**- დამეთანხმებით, სანქციის გაცემა და მასალების შექმნა არ ნიშნავს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, მის დაპატიმრებას. ძალიან ხშირად მომისმენია თავისმართლება - ჭიჭიაშვილი ვერ დავიჭირეთ, რადგან პანკისში იყო გამაგრებულიო, არადა, ცნობილია, რომ ბრალდებებით დახუნძლული ჭიჭიაშვილი საკმაოდ თავისუფლად მოძრაობდა, პანკისიდან თბილისში უპრობლემოდ ჩამოდიოდა, იტაცებდა თბილისიდან ხალხს და მას არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია...**

- იცით, არ ხართ მართალი. როცა ნებისმიერ დამნაშავეზე ძებნა გამოცხადდება ამის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება ყველა დანაყოფს, მუშაობს სპეციალური დანაყოფი, მით უმეტეს, როცა საუბარია, ისეთ საშიშ დამნაშავეზე, როგორიც ჭიჭიაშვილია. დამიჯერეთ, რომ ვერც ერთი თანამდებობის პირი ვერ შესძლებს ასეთი სერიოზული დამნაშავის მფარველობას, ეს გამორიცხულია, ამის საშუალება არ შესწევს არც ერთ თანამდებობის პირს, ამას უბრალოდ, სისტემა ვერ გააკეთებინებს.

**- სხვათა შორის, ცნობილია, რომ საგარეჯოში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როცა პოლიციელები მოკლეს, დაკავებული ჭიჭიაშვილი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გაიქცა...**

- არ ვიცი, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მე მაშინ უკვე აღარ ვმუშაობდი. გიმეორებთ, ვერც ერთი თანამდებობის პირი ვერ შეძლებს ასეთი სერიოზული დამნაშავის მფარველობას, სამართალდამცავი სისტემა არ იძლევა ამის საშუალებას, რომ ვინმემ დამნაშავეს ხელი დააფაროს. ჭიჭიაშვილთან ჩემი ნაცნობობა მოხდა მამუკა არეშიძის მეშვეობით და მე მინდა მას მადლობა ვუთხრა ამასწინანდელი სატელევიზიო გამოსვლისთვის, სადაც მან რეალურად მოყვა მაშინდელი სიტუაცია. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ მიმდინარეობს გამოძიება და ყველა ამ კითხვებს პასუხი აუცილებლად გაეცემა. იცით, ორი სიმართლე არ არსებობს, სიმართლე ერთია და ის, არავითარ შემთხვევაში, არ დაიმალება, როდესმე აუცილებლად გამჟღავნდება.

**- ბატონო კახა, წეღანაც გკითხეთ, მაგრამ იქნებ უფრო კონკრეტულად მიპასუხოთ - ამ სიტუაციებთან თქვენი საეჭვო დაკავშირება რატომ მოხდა?**

- კიდევ იგივეს გავიმეორებ, ეს იყო პიარი. ეს ძალიან კარგად ვიცი მე და იცის იმ ხალხმაც, ვინც ამას აკეთებდა, ამიტომაც ეს სალაპარაკო არ არის. უბრალოდ, ამაზე საუბარი არ მინდა, რაც მოხდა, იმან ჩაიარა. ეს იყო იმ ხალხის მიერ აგორებული ტალღა, როცა შსს-ს ებრძოდა და მას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, მე უბრალოდ ერთი მსხვერპლი გავხდი ამ დიდი პოლიტიკური პიარისა. ამიტომაც ვამბობ და იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფერს გამოძიებამ წერტილი უნდა დაუსვას, პასუხი უნდა გასცეს ყველა გაჩენილ კითხვას, ყველა ჭორს და გამოავლინოს ყველა ის პირი, ვინც ამ სიტუაციებს ხელოვნურად ქმნიდა.

# აზიის ეკონომიკა ატიპური პნევმონიის შოკიდან გამოდის

ადამ მჭედლიძე

ერთობ პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, აზიის წამყვანი ქვეყნები, შეიძლება ითქვას, რომ უდანაკარგოდ გამოდიან იმ კრიზისიდან, რომელიც ატიპური პნევმონიის გარშემო ატეხილმა პანიკამ გამოიწვია. ჩინეთმა და იაპონიამ სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკა კვლავაც ნორმალურ მდგომარეობაშია, ხოლო ზოგიერთ სექტორში ზრდაც კი დაფიქსირდა. ეს წინააღმდეგობაში მოდის ექსპერტთა წინასწარმეტყველებებთან, რომლებიც ლამის კატასტროფული იყო. პესიმიზმი იმ მოსაზრებას ემყარებოდა, რომ დაავადების შიშით, რეგიონში სტუმრების რაოდენობა შემცირდებოდა და ეკონომიკური აქტივობაც ჩაკვდებოდა.

ყველაზე ნაკლები ზიანი ჩინეთის ეკონომიკას მიადგა, სადაც ვირუსი ყველაზე მეტად მძვინვარებდა. წლის პირველ ნახევარში ჩინური ექსპორტის მოცულობა ერთი მესამედით გაიზარდა, იმპორტი კი - 45 პროცენტით. არნახული ბუმი დაფიქსირდა ავტომობილების ბიზნესში. მაგრამ საუკეთესო შედეგები საინტერნეტო კომერციამ აჩვენა, რომლისთვისაც ვირუსი ერთობ მომგებიანი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ დაავადების შიშით შინ ჩაკეტილი მოსახლეობა ჩვეულებრივზე მეტ დროს ატარებდა კომპიუტერთან და საინტერნეტო პორტალებს იმდენი სტუმარი მიაწყდა, რამდენიც არასოდეს.

ანალოგიური პარადოქსი დაფიქსირდა იაპონიაში. ამ ქვეყანას ატიპური პნევმონია დიდად არ შეხებია, მაგრამ მოგეხსენებათ, იაპონია უკვე რამდენიმე წელია ეკონომიკურ სტაგნაციაში იმყოფება. ახლა, როგორც გაირკვა, ამომავალი მზის ქვეყანამ სერიოზულად იხეირა იმ გარემოებით, რომ დაავადების შიშით, მის მოქალაქეთა უმრავლესობამ საზღვარგარეთ წასვლა გადაიფიქრა (წამსვლელთა მაჩვენებელი, შარშანდელთან შედარებით, განახევრდა), ის თანხა, რომელიც იაპონელ ტურისტებს უცხოეთში უნდა წაეღოთ, იაპონიაში დაიხარჯა და მომსახურების ადგილობრივ სფეროს ამან საგრძნობი სტიმული მისცა.

შედარებით მტკივნეულად გადაიტანეს ვირუსი მომცრო ქვეყნებმა – ტაივანმა, სინგაპურმა, ჰონგ კონგმა. თუმცა, კატასტროფული იქაც არაფერი ყოფილა.

## ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** ბოლო 6 თვის განმავლობაში ზუგდიდში 11 მკვლელობა მოხდა. ამის მიზეზად სამეგრელოს რეგიონის პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა რაიონში დიდი რაოდენობით იარაღის დაგროვებას ასახელებს. მისი განცხადებით, მკვლელობის ყველა შემთხვევა მანქანის ან ადამიანის გატაცებებთან არის დაკავშირებული, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად გადაჰყავთ. "აფხაზეთისკენ მიმავალი გზა რომ გადაკეტილი იყოს, მაშინ ასეთი დანაშაულები შემცირდებოდა. ბოროტმოქმედები თავს სწორედ აფხაზეთს აფარებენ", - აცხადებს ჭკადუა. მისივე თქმით, 11 დანაშაულიდან მხოლოდ 2 არ არის გახსნილი. ერთ-ერთი - 10 ივლისს მომხდარი 22 წლის თემურ შენგელიას მკვლელობაა. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის N2-ე სასჯელაღსრულების დაწესებულების ერთ-ერთ საგუშაგოსთან ახლოს, ღამით დააკავეს დათო ურიადმყოფელი, რომელიც ციხის ტერიტორიაზე ცელოფანში მოთავსებული 0,5 კგ ნარკოტიკული ნივთიერების – "მარიხუანას" გადაგდებას ცდილობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ამჟამად ქუთაისში მოღვაწე მუსიკოსს, აშშ-ს ქალაქ მაიამი-ბიჩში მცხოვრებ ლევან შენგელიას, გუშინწინ ქუთაისში, ასათიანის ქუჩაზე, 320 დოლარად ღირებული მობილური ტელეფონი წაართვეს. დაზარალებულმა დამნაშავე სახეზე იცნო და თავად ამხილა პოლიციაში. იგი ადრე ორჯერ ნასამართლევი, ქუთაისში მცხოვრები, 1968 წელს დაბადებული პაატა ამაღლობელი აღმოჩნდა, რომელსაც ამჟამად პოლიცია ეძებს. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა

"ლიბერალურად განწყობილი ძალები ცილს სწამებენ ეკლესიას", - აცხადებს საქართველოს საპატრიარქო მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: "არსებობს სერიოზული ეჭვი იმისა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ეკლესიის დისკრედიტაციას... დარტყმები ხორციელდება როგორც მარცხნიდან, ანუ ლიბერალურად განწყობილი მხარისგან, ისე მარჯვნიდან, - ექსტრემისტულად განწყობილი ძალისგან...

ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდნენ მემარცხენეები (ლიბერალები). მათი მთავარი დასაყრდენია დეკანოზი ბასილ კობახიძე, რომელიც საქართველოს ეკლესიას ბნელი ძალების ქვეშ მყოფს და კარჩაკეტილს უწოდებს. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენ 1997 წლიდან გამოვედით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან.

ეს ბრალდებები, რა თქმა უნდა, ყოვლად უსუსური და უსაფუძვლოა. ჩვენ ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან... ახლო ურთიერთობა გვაქვს სხვა კონფესიებისა და რელიგიების წარმომადგენლებთანაც, ოღონდ იგი არ გულისხმობს ლოცვით – ევქარისტულ კავშირს...

რაც შეეხება დეკანოზ ბასილ კობახიძის მხრიდან ამა თუ იმ იერარქიისა და სასულიერო პირის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს, თითქოს ისინი თანამშრომლობენ ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურებთან, უხეში ცილისწამებაა და დიდი ცოდვა ღმერთის წინაშე. თვითონ დეკანოზი ბასილ კობახიძე არის მძიმე მდგომარეობაში: მრავალჯერ გაფრთხილების მიუხედავად, იგი მოქმედებს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე, თვითნებურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა შეკრებასა და ფორუმზე, შეურაცხყოფს და დასცინის ეკლესიას და მოძღვართ, რაც ნებისმიერი სასულიერო პირისთვის ყოვლად მიუღებელი ქმედებაა. ამით იგი თვითონ აყენებს თავის თავს ეკლესიის გარეთ..."

### ორი სიტყვით

**თბილისი.** მომავალი კვირიდან შსს პენსიონერები საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ. ისინი მოითხოვენ 1997-2000 წლების გაყინული პენსიების გაცემას, შეღავათებს შუქზე, წყალზე, მგზავრობაზე, მიმდინარე პენსიების დროულ დარიგებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთში დაფუძნდა ქუჩის ბავშვების თავშესაფარი, სარეაბილიტაციო ახალი ცენტრი „ეგრისი". მატერიალურად მას გაეროს ბავშვთა ფონდიც ეხმარება. ამჟამად ცენტრში 30 მოზარდია, მათ შორის 15 - მშობელთა ზრუნვას მოკლებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის შვიდ ბინადარ დედა-შვილს სახლის მენეჯერებმა საჩუქრად გადასცეს ბავშვთა ტანსაცმელი, საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები და ორი ათასი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალაქის ხელმძღვანელობის განცხადებით, ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეებს მალე ბაზრობის შიდა ტერიტორიაზე შეიყვანენ, მანქანებით მოვაჭრეებს კი აიძულებენ, ელიავას ბაზრობაზე გადავიდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასა" და ყაბარდო-ბალყარეთს შორის ახლახან ნალჩიკში გაფორმებული თანამშრომლობის ფარგლებში, 50 ბავშვი ყაბარდო-ბალყარეთის საუკეთესო პანსიონატებსა და სანატორიუმებში დაისვენებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 11 ივლისის მონაცემებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გეგმა დედაქალაქში 102 პროცენტით შესრულდა. უშუალოდ სამხედრო ნაწილებში გაწვეულია 464 წვევამდელი, 200-ლარიანი ბეგარა 558-მა გადაიხადა. **მედია-ნიუსი**

# ნამდვილი პუტინი

პირველი გვერდიდან

მან შეამცირა კორპორაციული გადასახადები, გაისტუმრა საგარეო ვალი, დააკანონა მიწის საკუთრება, მხარი დაუჭირა მსხვილი მონოპოლიების რესტრუქტურიზაციას და ასევე დაიწყო რეფორმების გატარება მნიშვნელოვან სოციალურ სფეროებში. ბორის ელცინის მმართველობის ბოლო პერიოდთან შედარებით, პუტინი კაპიტალიზმის მტკიცე მხარდამჭერად წარმოჩინდა.

პუტინის მმართველობის დადებითი მხარის პარალელურად, შავმა სიუჟეტმაც დაიწყო განვითარება. ვიდრე ლიბერალური საგადასახადო რეფორმები რუსეთის პარლამენტში გადიოდა განხილვებს, პუტინის გუნდმა ისეთი პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება დაიწყო, რასაც ლიბერალური აშკარად არ დაერქმევა. პუტინის ეპოქაში ყველა ნაციონალური ტელეკომპანია, ფაქტობრივად, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დაბრუნდა. ივნისში "ტვეესის" დახურვა კი უკანასკნელი აკორდი იყო.

რუსეთის ჯარისკაცები განაგრძობენ ჩეჩნეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებების შელახვას, (რასაკვირველია, ჩეჩენი მებრძოლებიც ასეთივე არაადამიანურ მეთოდებს იყენებენ, მაგრამ ბოროტება, რომელიც ბოროტებაზე მრავლდება, სიკეთედ ვერ იქცევა). უფლებათადამცველ ორგანიზაციებზე ზეწოლა ხორციელდება, ჟურნალისტებს ციხეებში ისტუმრებენ, დასავლეთის ჰუმანიტარული მისიების თანამშრომლებს კი ქვეყნიდან აძევებენ. რასაკვირველია, პუტინი დემოკრატიაზე ასეთ შეტევებში იშვიათად მონაწილეობს. საქმე სხვა რამეა: ის არაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ავტორიტარული მმართველობისაკენ ასეთი ღია სვლა შეაჩეროს.

ეს ორი პუტინი – ეკონომიკის რეფორმატორი და დემოკრატიის მოწინააღმდეგე – გვერდი-გვერდ თანაარსებობენ, ისე, რომ ერთმანეთს არც კი ხვდებიან. ბიზნესმენებმა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განადგურების პროცესზე ხელი ჩაიქნიეს, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს განადგურება აუცილებელ პასუხს წარმოადგენდა ანარქიაზე, რომელიც რუსეთში ელცინის ეპოქაში გამეფდა. აპოლოგეტები აცხადებდნენ, რომ მედიამაგნატებმა - ვლადიმირ გუსინსკიმ და ბორის ბერეზოვსკიმ, რომლებიც იძულებულნი გახდნენ ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ, რათა პატიმრობისგან ეხსნათ თავი, ეს დაიმსახურეს. მათი აზრით: პუტინი არ თრგუნავს პრესის თავისუფლებას, არამედ მხოლოდ ზღუდავს კორუმპირებული ოლიგარქების ძალაუფლებას. საქმიანი საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა კი, რუსეთში დროებითი დიქტატურის ჩამოყალიბების იდეაც კი წამოაყენა, რათა ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის სტაბილურობა უზრუნველყოფილი გამხდარიყო.



პუტინმა ოლიგარქებს გარიგება შესთავაზა.

მეორე მხრივ, პუტინის ანტიდემოკრატიული მმართველობის მოწინააღმდეგეები, რუსეთის პრეზიდენტის სისასტიკის შეფასებისას, თავიანთ ანალიზში აშკარად აჭარბებენ და არ სურთ აღიარონ მისი მიღწევები სხვა სფეროებში. ისინი პუტინს ახალ დიქტატორს უწოდებენ, რომელსაც უფრო მეტი აქვს საერთო სტალინთან, ვიდრე ბორის ელცინთან ან მიხეილ გორბაჩოვთან.

გასულ კვირას, მილიარდერ პლატონ ლებედევის დაპატიმრებამ ვლადიმირ პუტინის ორი სახე ერთმანეთს შეაერთა. ლებედევი ხელმძღვანელობს "მენატეპს," ფინანსურ-სამრეწველო კომპლექსის "იუკოსის" ბანკს, რომელსაც სათავეში რუსეთში ყველაზე მდიდარი ადამიანი მიხაილ ხოდორკოვსკი უდგას. ლებედევის და "იუკოს-მენატეპის" სხვა ხელმძღვანელების მსგავსად, მან თავისი ქონება სახელისუფლებო ჩინოვნიკებთან პირადი კონტაქტების გამოყენებით დააგროვა. ამ კონტაქტებით მან სახელმწიფო აქტივები შეიძინა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ნავთობის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის ათვისების საშუალებას აძლევდა.

როდესაც პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა, ბევრი მილიარდერი შიშობდა, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტი საკუთრების გადანაწილებას დაიწყებდა, ამ შემთხვევაში - თავისი მეგობრების სასარგებლოდ. მაგრამ მან ოლიგარქებს არაორაზროვნად გარიგება შესთავაზა: **"შეინარჩუნებთ ყველაფერს, რაც გაქვთ. მთავრობისგან კიდევ რამის მიღებას ნუ ეცდებით და ამასთანავე, ნუ მიძვრებით პოლიტიკაში."**

ვლადიმირ გუსინსკისა და ბორის ბერეზოვსკისგან განსხვავებით, ხოდორკოვსკი ამაზე სიამოვნებით დათანხმდა. მან და მისმა გუნდმა თავიდან აიცილეს საპყრობილე და "იუკოსი" ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და გამჭვირვალე, დასავლური მოდელის რუსულ კომპანიად აქციეს. მან სხვა რუს ოლიგარქებს შორის პირველობა დაიმკვიდრა და სხვაგვარი მოქმედებაც დაიწყო – ქმნიდა თავის ფონდებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს და ანალიტიკურ ცენტრებს. საარჩევნო პერიოდში ხოდორკოვსკიმ ღიად გადასცა ფული ორ უმსხვილეს პოლიტიკურ პარტიას – "იაბლოკოს" და კომუნისტებს. ხოდორკოვსკის გათვლებით, ეს ყველაფერი პუტინსა და ოლიგარქებს შორის დადებული პაქტის ჩარჩოებში ჯდებოდა.

გასულ კვირას განხორციელებულმა დაპატიმრებამ და ხოდორკოვსკის დაკითხვამ შესაძლებელი გახადა იმის ვარაუდი, რომ რუსეთის პრეზიდენტს ეს პაქტი სხვაგვარად ესმის. ხოდორკოვსკის ეკონომიკურ სიძლიერეს და პოლიტიკურ ამბიციებს პუტინი საფრთხედ აღიქვამს.

თუკი ხოდორკოვსკის შეშინების მიზნით დაუწერელი კანონები იცვლება, ლებედევის დაპატიმრება უფრო გამოსაფხიზლებელი ნაბიჯია. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსებს არ გააჩნიათ უფლება, არჩევნების შედეგებზე გავლენა იქონიონ, არადა ასეთი შესაძლებლობა არსებითად მიანიშნებდა, რომ რუსეთში მინიმალური დემოკრატია მაინც არსებობს. რასაკვირველია, ნავთობმაგნატებმა არ უნდა გამოიყენონ თავიანთი ფინანსური რესურსები საარჩევნო ველის რელიეფის შესაცვლელად. მაგრამ უმრავლეს დემოკრატიულ ქვეყნებში ამ პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტს საარჩევნო კამპანიების დაფინანსებისათვის კანონების შესრულება წარმოადგენს და არა განუკითხავი დაპატიმრებები.

სახელმწიფო განუკითხაობა არა მარტო ანტიდემოკრატიული, არამედ ბიზნესისთვისაც საზიანოა. სახელმწიფო, რომელიც ვერ აკონტროლებს კანონის უზენაესობას, უკეთეს შემთხვევაში არაპროგნოზირებადია, ხოლო უარეს შემთხვევაში – მძარცველური. ორი კვირის წინ, შესაძლოა, ლებედევს განეცხადებინა კიდეც იმის თაობაზე, რომ პუტინის ეკონომიკური მიღწევები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი წარუმატებლობა დემოკრატიის სფეროში. დღეს კი ის, ალბათ, სხვაგვარად ფიქრობს. ამაზე ჩვენც უნდა დავფიქრდეთ.

*თარგმნა*
*ლევან ღირსიაშვილმა*

## პირველი პროექტი კონკორდატის ფარგლებში



*პროგრამის პრეზენტაციაზე საქართველოს საპატრიარქოში.*

*2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობის პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დასაქმების სფეროში თანამშრომლობის 2004-2005 წლების პროგრამას. პროგრამის პრეზენტაცია გუშინ საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა.*

მაკა ჭაიანი

მთლიანობაში 1 მილიონ 100 ათასი ლარის ღირებულების ეს პროგრამა სამი მიმართულებით იმუშავებს. მის ფარგლებში დაგეგმილია:

უმუშევართა მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება იმ პროფესიებში, რომელიც ეკლესიის ფუნქციონირებისთვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს; ეკლესია-მონასტრებისა და საეკლესიო დანიშნულების შენობების რესტავრაციისა და რეაბილიტაციის დროს განხორციელებული საზოგადოებრივი სამუშაოებისას, რეგისტრირებული უმუშევრების დროებითი დასაქმება;

სამუშაო ადგილის სუბსიდირება იმ სამეწარმეო სუბიექტებში, რომლებიც აწარმოებენ, შემოაქვთ, მიაწოდებენ საღვთისმსახურო ან საეკლესიო დანიშნულების პროდუქციას.

პროგრამის ფარგლებში, დროებით სამუშაოზე დასაქმდება 1000-1200 ადამიანი, სამუშაო ადგილების სუბსიდირების შედეგად კი – 200. დასაქმების უპირატესი უფლებით ისარგებლებენ:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებსაც საქმიანობა შეუძლიათ მხოლოდ სპეციალურად შექმნილ პირობებში; 25 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც პირველად გამოდიან შრომის ბაზარზე და არა აქვთ პროფესია;

მრავალშვილიანი ოჯახების (სამი და მეტი შვილი) სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი წევრები; მამები, დედები, რომლებიც მეუღლის გარეშე ზრდიან 14 წლამდე ასაკის ბავშვებს; თორმეტ თვეზე მეტი ხნით უმუშევრად მყოფი პირები;

საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც არა აქვთ პროფესია; ყოფილი პატიმრები, რომლებიც გათავისუფლდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან.

ამ ორი წლის განმავლობაში დაგეგმილია 50 კაპელანის, ტიხრული მინანქრის 10 ოსტატის, 30 ქვაზე მკვეთელის, 100 მგალობლის, 10 ხატმწერის, 20 ხეზე მჭრელის, ქსოვილის მხატვრული დამუშავების 20 სპეციალისტის მომზადება, გადამზადება. პროგრამა აზუსტებს იმ ეკლესია-მონასტრებსა და საეკლესიო დანიშნულების შენობებსაც, რომლებსაც 2004-2005 წლებში, მის ფარგლებში რესტავრაცია ჩაუტარდებათ. ესენია: ანჩისხატის საკათალიკოსო სასახლე, ზესტაფონის რაიონში მდებარე უპატრონო ბავშვთა სახლი, საქართველოს საპატრიარქოს შენობა თბილისში, თბილისის სასულიერო აკადემიის შენობა, თირის და დარბის მონასტრები, კასპის რაიონში მდებარე სვიმონ მესვეტის ეკლესია-კოშკი, წალკის რაიონში მდებარე არჯევან სარვანის, ასევე ხიშმისა და თისელის ეკლესიები. გარდა ამისა, თბილისის ფერიცვალების მამათა მონასტერთან, თეკლათის, დავით გარეჯის, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრებთან აშენდება პილიგრიმული სახლები.

## კმარა, მიიჩნევენ სტუდენტები

პირველი გვერდიდან

ამას დაემატა ბევრი უკანონობა, რაც მისაღების გამოცდების ადმინისტრაციულ აქტში იდო, კომისიის წევრთა არჩევის ძალიან ბუნდოვანი წესი იქნებოდა ეს თუ საგამოცდო კომისიებში რეპეტიტორთა შეყვანა. ყველაზე მწვავედ სტუდენტები სწორედ ამ უკანასკნელ პრობლემას აპროტესტებენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გაზეთებში იბეჭდება ასეთი შინაარსის განცხადებები: "ვამზადებ მოწყობის გარანტიით". ეს პრობლემა მეტად მტკივნეული აღმოჩნდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, რადგან კომისიის წევრთა 99 პროცენტი აბიტურიენტებს ამზადებს, თანაც, ახლა ეს უკვე ასე ხდება არა მხოლოდ მისაღები გამოცდების დროს, არამედ სახელმწიფო გამოცდებზეც.

2002 წლის 19 ივლისს შეტანილი სარჩელი პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სტუდენტმა რექტორს უჩივლა. ამ სარჩელის შეტანის შემდეგ, წესით, 2002 წლის თსუ-ს მისაღები გამოცდები უკანონოდ უნდა გამოცხადებულიყო. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას სასამართლოში სარჩელის წარდგენა აჩერებს. თუთბერიძემ სარჩელი სასამართლოში 2002 წლის 19 ივლისს წარადგინა, მისაღები გამოცდები კი 21 ივლისს დაიწყო. ეს სარჩელი რომ დაკმაყოფილდეს, თსუ-ს პირველკურსელები, უფრო სწორად, უკვე მეორეკურსელები, სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. **"ჩვენ არა გვაქვს იმის არც სურვილი და არც ილუზია, რომ ამ სტუდენტებს გამოყრიან, - აცხადებს თეა თუთბერიძე, - ეს ადმინისტრაციის დანაშაულია და პასუხიც მან უნდა აგოს. არ არსებობს იურიდიული საფუძველი იმისა, რომ ამ სტუდენტების ნაწილს თანხის გადახდა მოსთხოვონ, ნაწილს კი - არა. რა თქმა უნდა, აჯობებდა, ყველა ეს სტუდენტი საბიუჯეტო სექტორზე მიეღოთ, შემდეგ, სესიებისას კი დაედგინათ, თუ ვის უნდა გადაეხადა ფული და ვის - არა. ასე, თავისი აკადემიური მოსწრების შესაბამისად, თუ ერთ სემესტრში ერთ სტუდენტს მოუწევდა თანხის გადახდა, სხვა სემესტრში ამას სხვა გააკეთებდა".**

გასულ ზაფხულს სასამართლოში კიდევ რამდენიმე საჩივარი შევიდა. ჩიოდნენ ის აბიტურიენტები, ვისაც ქულები დააკლდა. შეიქმნა მშობელთა კომიტეტიც. მაშინ როინ მეტრეველი მასთან შესულ მშობლებს შეპირდა, რომ მათ შვილებს ერთი წლით გადასახდელ თანხას გაუნახევრებდა. გარეთ გამოსულმა მშობლებმა განცხადება დაწერეს, სადაც მათი შვილებისთვის თანხის განახევრებას ითხოვდნენ ყოველგვარი ვადისა და საფუძვლის მითითების გარეშე. რექტორმა განცხადებაზე ხელი მოაწერა. ასე რომ, ორმოცდაათზე მეტ სტუდენტს ხუთი წლით გაუნახევრდა სწავლის ქირა. რექტორატის მხრიდან ესეც კანონდარღვევა იყო. გაურკვეველია, რის საფუძველზე გაუნახევრდათ გადასახადი მხოლოდ ამ სტუდენტებს. სამწუხაროდ, სხვა სტუდენტებს ამ ვითარების გაპროტესტება აზრად არ მოსვლიათ, თორემ, შესაძლოა, პროცესი ადვილად მოეგოთ და სწავლის ქირა ყველას განახევრებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო, უკვე ერთი წელიწადია, მიმდინარეობს. სარჩელს თავდაპირველად იხილავდა მოსამართლე ტაბატაძე, რომელიც, გაურკვეველი მიზეზების გამო, გადააყენეს. მართალია, შემდეგ აღუდგენიათ, თუმცა, ეს საქმე მას აღარ გადაეცა. ამჟამად საქმე განსახილველად აქვს მოსამართლე სულიკო ციცვიძეს. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მოსამართლე საქმეს თავიდან უნდა გაეცნოს. გუშინ ჩატარებულ ე.წ. მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლე ციცვიძე მხარეებს სთხოვდა "არა მხოლოდ როგორც მოსამართლე, არამედ როგორც მოქალაქე, მორიგებულიყვნენ, რადგან უნივერსიტეტი მისთვის წმინდა ადგილია და რაიმე განაჩენის გამოტანა გაუჭირდება!" სხდომა 29 ივლისისთვის გადაიდო. ვნახოთ, როგორ დააღწევს თავს ამ გაჭირვებას მოსამართლე.

როგორც ამბობენ, წლევანდელ მისაღებ გამოცდებზეც ბევრი არაფერი შეიცვლება - იგივე რეპეტიტორები, იგივე კომისიის წევრები. უბრალოდ, უფრო ფრთხილად მოქმედებენ და "სანდოობის" მექანიზმებიც უფრო გამკაცრებულია. თუმცა, სტუდენტების პროტესტმა თავისი შედეგი მაინც გამოიღო: წლევანდელი დებულების მიხედვით, უკვე ნებისმიერი კურსის "ფასიან სტუდენტს" უფლება აქვს, მისაღები გამოცდები თავიდან ჩააბაროს და ისევ თავისი კურსის საბიუჯეტო სექტორზე დაჯდეს.

# ირანელი ქალები ცვლილებების ინიციატორები არიან

რევაზ ბახტაძე

ირანში, უკვე დიდი ხანია, არავინ სვამს შეკითხვას, ქალები უნდა მუშაობდნენ თუ არა. ქალებს უკვე არც ის აშინებთ, რომ ქუჩაში, შესაძლოა, ვინმემ გააჩეროს და კოსმეტიკის გამოყენების გამო, საჯაროდ დასაჯოს. იმის მიუხედავად, რომ ირანში თეოკრატიული რეჟიმია და ქვეყანას, ფაქტობრივად, მოლები მართავენ, იგი ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის მოსაზღვრე ბევრ სახელმწიფოზე უფრო დემოკრატიულია.

თუმცა, ეს ირანელი ახალგაზრდებისათვის საკმარისი მაინც არ არის. უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტი თავისუფლებისა და დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით, სტუდენტები საპროტესტო აქციებს ხშირად აწყობენ.

ირანის მოსახლეობის 70 პროცენტი 30 წელზე ახალგაზრდაა, რომელთა დიდ ნაწილს სამუშაოს მოძებნა უჭირს.

"ჩემი მეგობრების უმრავლესობას საზღვარგარეთ წასვლა სურს", - ამბობს 20 წლის პარისა. მისი თქმით, კერძო წვეულებებზე გოგონებს, ქუჩისგან განსხვავებით, თავისუფლად აცვიათ მოკლე კაბები და ღია მაისურები.

პარისა ისეთ წვეულებაზე წასვლას ოცნებობს, სადაც ნერვიულობა არ მოუწევს იმაზე, რომ შესაძლოა ციხეში ამოჰყოს თავი, ან ისე ისადილოს კაფეში, რომ ჩადრის წინ გადმოწევაზე არ იდარდოს.

ახალგაზრდების თქმით, თეირანში მთავარი პრობლემა მოწყენილობაა. "დიდი-დიდი, რაც შეიძლება გავაკეთოთ, არის ის, რომ ერთი ყავახანიდან მეორეში წავიდეთ... შესაძლოა, სპორტზეც იარო, მაგრამ ყველაფერი დახურულ კარს მიღმა ხდება და სიცხე შემაწუხებელია.

ისინი, ვინც ისლამურ რევოლუციას მოესწრნენ, ამბობენ, რომ ახლანდელი ვითარების 15-20 წლის წინანდელთან შედარება არც კი შეიძლება. მაშინ პოპ და როკ მუსიკის მოსმენა იკრძალებოდა, ახლა კი ირანული როკ-ჯგუფებიც კი არსებობს.

ზოგიერთები ბრაზობენ კიდეც, რომ ახალგაზრდობა იმ თავისუფლებას არ აფასებს, რომელიც მას აქვს.

ხელისუფლება ირანში დილემის წინაშე დგას: დაუთმოს ახალგაზრდებს და მეტი თავისუფლება მიანიჭოს მათ, თუ - არა. გაზრდილი თავისუფლება ახალგაზრდებს თავიანთი აზრის გამოთქმის საშუალებას მისცემს და მათ, შესაძლოა, რევოლუციური ცვლილებების განხორციელებაზე ხელი აიღონ. შესაძლოა, ყველაფერი პირიქით მოხდეს და სტუდენტებს მადა გაეზარდოთ, რაც სისტემის კრახით დასრულდება.

ირანელი ჟურნალისტის მინდა ბადიის თქმით, "უფროსმა თაობამ ახალგაზრდებთან სათანადოდ საუბარი არ იცის. დღევანდელ ახალგაზრდებს ზუსტად ისეთივე თავისუფლება სურთ, რამდენიც მათ თანატოლებს აქვთ მსოფლიოში".

მინდა ბადიის აზრით, ისლამური სახელმწიფოს ცხოვრების წესს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ახალგაზრდა ქალები უწევენ.

### ინტერნეტის ბუმი

ირანის კლერიკალური ხელისუფლება ინტერნეტის არნახულმა პოპულარობამ საგონებელში ჩააგდო. ფაქტობრივად, სახელმწიფომ საინფორმაციო პოლიტიკაზე მონოპოლია დაკარგა და ახლა ხალხს, ზოგიერთი ვებგვერდის დაბლოკვის მიუხედავად, მსოფლიოსა და მათსავე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ.

თავად ირანელებმა უკვე 20 000-ზე მეტი ვებგვერდი დაამზადეს, რომლის მომხმარებლები, ძირითადად, სტუდენტები არიან.

ირანში განსაკუთრებული აჟიოტაჟი ყოფილი მეძავის მიერ ინტერნეტში საკუთარი ბიოგრაფიის გამოქვეყნებამ გამოიწვია. ირანში, სადაც სექსთან დაკავშირებული თემები ტაბუდადებულია, ამგვარი საქციელისათვის ინფორმაციის განმათავსებელს სასტიკი სასჯელი ელის. მოგონებების ავტორი ვერ დაიჭირეს, მაგრამ ვებგვერდი კი ორ კვირაში გააუქმა ხელისუფლებამ.

აღსანიშნავია, რომ ირანში განსაკუთრებით აქტიურები ქალები არიან. სწორედ ისინი ამზადებენ ვებგვერდების უმრავლესობას, ქმნიან ე.წ. საჩატაო ოთახებს, სადაც ბიჭებთან პაემნის ადგილსაც ხშირად ათანხმებენ ხოლმე.

თუმცა, ირანელების უმრავლესობა ინტერნეტს ინფორმაციის მოსაპოვებლად, ან გასავრცელებლად იყენებს. არსებობს სერიოზული ვებგვერდები, სადაც თანამედროვე ირანული პოეზია შეიძლება წაიკითხოთ, ან მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ ირანელებისა და უცხოელების აზრს გაეცნოთ.

### ინკოგნიტო

ირანული ვებგვერდებიდან ყველაზე მეტად მაინც LadySun-ის ვებგვერდი მომწონს. როგორც თავად წერს, იგი 25 წლისაა და ამ თვეში ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში მაგისტრის ხარისხის მიღებას აპირებს. LadySun სპარსულენოვანი ჟურნალის "კაპუჩინოს" რედაქტორიცაა, რომელიც ახალგაზრდულ პრობლემებს შეეხება.

LadySun თითქმის ყოველდღე თეირანში მომხდარ ამბებზე წერს, ოღონდ არა რეპორტიორივით, არამედ უბრალოდ, თეირანელი გოგოსავით, რომელიც არსებულ შეზღუდვებს, საგარეო მუქარასა და კლერიკალების თვითნებობას განიცდის.

თითოეული სტატიის შესახებ ნებისმიერს შეუძლია თავისი აზრი გამოთქვას. აქ კი ირანელებს უცხოელები ნამდვილად ჯაბნიან. ზოგიერთი ირანის დაპყრობას უჭერს მხარს, დანარჩენები ამგვარი აზრის გაბათილებას ცდილობენ.

ძალიან გამიკვირდა, როდესაც 29 მაისს LadySun-ის ვებგვერდზე წავიკითხე: Viva Milan! წინა ღამით LadySun ჩემპიონთა ლიგის ფინალს უყურებდა. ირანელი გოგო, თურმე, ამ გუნდის გულმხურვალე გულშემატკივარია, უფრო სწორად - მალდინის, რომელიც ძალიან მოსწონს.

LadySun-ისა და ირანელი ინტერნეტის მომხმარებლების შესახებ ძალიან ბევრმა დასავლურმა გაზეთმა დაწერა. სტატიების უმრავლესობაში, რატომღაც, აღნიშნული იყო, თითქოს, ირანელები მხოლოდ პორნოსურათების დასათვალიერებლად იყენებენ ინტერნეტს. LadySun-მა და მისმა ვირტუალურმა მეგობრებმა ეს მოსაზრება სასწრაფოდ გააკრიტიკეს და საპროტესტო წერილები გაუგზავნეს "სი-ენ-ენსა" და "როიტერს".

და კიდევ ერთი, რაც LadySun-ისა და სხვა ირანელების ვებგვერდების დათვალიერებისას აშკარაა: ისინი ძალიან ამაყები არიან იმით, რომ ირანელები არიან. მათ სურთ, რომ დემოკრატიული რეფორმები განხორციელდეს, მაგრამ ძალიან ბრაზობენ, როდესაც სამხედრო ინტერვენციაზე ვინმე დასავლელი პოლიტიკოსი გააკეთებს განცხადებას. მათი მტკიცებით, ეს დემოკრატიულ ძალებს ირანში მხოლოდ ხელს უშლის.

ახლა მოსაღამოვდა, ამიტომ ავკრეფ www.ladysun.net -ს და თეირანისა და ირანელი გოგოს ამბებს შევიტყობ. დამიჯერეთ, ძალიან საინტერესოა.

# „უნიკალური, ძვირფასი ბავშვები მყავს„

ნამდვილი ამბავი

თიკო ცომაია

„პედაგოგი ქალი ვარ, ისეთი ძვირფასი შვილი მყავს, – სულმოუთქმელად ყვება ქალბატონი ლამარა, - უნივერსიტეტი დავამთავრე, დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი, დღე და ღამეს ვასწორებდი, სულ მინდოდა, სანიმუშო ვყოფილიყავი: სწავლაში, ბავშვების აღზრდაში. მინდოდა, საუკეთესო ოჯახი მქონოდა, ყოველთვის კარგი მინდოდა..."

ქალბატონი ლამარა სკოლაში მუშაობს, ჰყავს სამი შვილი: ქალიშვილი - უმუშევარი ექიმი, რომელმაც ერთი წლის წინათ უმაღლესი სასწავლებელი წითელ დიპლომზე დაამთავრა. ვაჟი - მეოთხე კურსის სტუდენტი, როგორც თავად ამბობს, „ძვირფასი, უნიკალური ბიჭი. მთლად ფრიადოსანი, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი". მესამე ვაჟი 13 წლისაა. „ის 9 აპრილთან დაკავშირებით გავაჩინე, ცოტანი ვართ ქართველები-მეთქი. ხან ვიტყვი ხოლმე, ვაიმე, რომ არ არის პირობები და საშუალება? კბილები ეფქვება უკვე, დუხჭირი ცხოვრების გამო. ველოსიპედი ენატრება სიგიჟემდე. ვინმე ბიზნესმენმა რომ იცოდეს და მადლი უნდოდეს, ჩემს შვილს ველოსიპედს უყიდდა. გადაირევა სიხარულით", - ნატრობს ქალბატონი ლამარა. ის მარტო უძღვება ოჯახს: „მეუღლე ცოცხლად დავკარგე 10 წელიწადია, სამუდამოდ დაგვივიწყა. რუსეთში გადაიკარგა. მაინც არ ვეცემი და მინდა, შვილები წესიერად გავზარდო. ჩემი დევიზი ის კი არ არის, რომ დღეს შევჭამო, ხვალ შევჭამო, გავერთო. არამედ ჩვენს სამშობლოს, ჩემს საქართველოს წესიერი ბავშვები აღვუზარდო", - ამბობს.

ქალბატონი ლამარას ხელფასი 66 ლარია. უკვე ექვსი თვეა, შუქი გათიშული აქვს ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო. ვალი დაუგროვდა 680 ლარის ოდენობით. ამიტომ ყოველ საღამოს „კურიერის" საყურებლად მეზობელს აწუხებს, როგორც თავად ამბობს, „თელასის" წარმომადგენელი არ დათანხმდა მის შეთავაზებას, რომ ვალი ეტაპობრივად, ყოველთვიურად 10-10 ლარით დაეფარა. 60 ლარი წყლის გადასახადიც დაუგროვდა. „მოვა ინკასატორი და მეუბნება, შავ სიაში შეგიყვანო. დედა და მამა ავად მყავდა და იმიტომ ვერ გადავიხადე წყლის ფული. შიმშილით რომ ვკვდებოდი, გადასახადებს მაინც ვიხდიდი", - წუხს ქალბატონი ლამარა.

რვა ზამთარმა ისე გაიარა, სახლში გასათბობი საშუალება არ ჰქონიათ. წლეულს გათბნენ, რადგან ღუმელი ათხოვეს, ღვთისნიერმა ადამიანმა 60 ლარი აჩუქა, იმით შეშა შეიძინა.

ზაფხულში სხვა პრობლემებია გადასაჭრელი. ბავშვებს კვება და დასვენება სჭირდებათ, რასაც მარტოხელა დედა ვერ გასწვდებოდა და გადაწყვიტა, შვილები ბავშვთა სახლში მიებარებინა. ამ დროს განათლების სამინისტროსთან არსებული სოციალურ მუშაკთა სამსახური ჩაერთო პრობლემის მოგვარებაში. სოციალურმა მუშაკმა შეისწავლა ოჯახის მდგომარეობა და გადაწყვიტა ქალბატონ ლამარას ოჯახი ჩაერთო პროექტში, რომლის ფარგლებშიც მას თითო ბავშვზე 60 ლარი დახმარება გამოუყვეს. თანხა ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოიყოფა, მის გადარიცხვასთან დაკავშირებით კი პრობლემებია.

თბილისის სოციალურ მუშაკთა ჯგუფის ხელმძღვანელი ეთერ ცხაკაია აღნიშნავს, რომ იმ ოჯახებს, რომლებიც პროექტში არიან ჩართულები, უკიდურესად უჭირთ, არადა, მათთვის დახმარების დროულად მიწოდებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. „ძალიან ხშირად მიწევს, თანხის წასაღებად მოსული ადამიანი უკან ხელცარიელი გავაბრუნო, ან ტელეფონით უარი ვუთხრა", - აღნიშნავს ეთერ ცხაკაია.

ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის დაძლევამდე, ქალბატონ ლამარას ყველაზე მეტად იმის ეშინია, რომ ბავშვი უნივერსიტეტიდან არ გამოუგდონ.

შუათანა შვილის, ზურაბის პირველი და მეორე კურსის სწავლების საფასური 1200-1200 ლარი დედამ გადაიხადა: „გავყიდე ყველაფერი, რაც მებადა, ქორწინების ბეჭედიც კი. ერთი მისხალი აღარ დამრჩა," - ჰყვება ქალბატონი ლამარა.

მესამე და მეოთხე კურსის გადასახადი გაუნახევრდა, დახმარების ხელი სტუდსაბჭომ გაუწოდა. ზურაბს ერთი წელიღა დარჩა უნივერსიტეტის დამთავრებამდე. ქალბატონ ლამარას კეთილშობილი ადამიანების იმედი აქვს, რომლებიც გაითვალისწინებენ მის მდგომარეობას და ბავშვს სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემენ. „ზურიკოს მესამე კურსზე მკაცრ, სამართლიან ლექტორთან, მზია ლეკვეიშვილთან ჰქონდა გამოცდა. ზამთარი იყო. ვერაფრით ვერ გავათბე. სიცივისგან ფეხი გაუსივდა, მაგრამ მაინც მეცადინეობდა. ერთი ლიტრი ნავთი ძლივს ვიყიდე. ნავთქურაში ჩავასხი და დავუდგი. სითბოსგან გაყინული ფეხის ქსოვილი დასკდა, სითხე მოსდიოდა. იმ გამოცდაზე ხუთიანი მიიღო", - ეს მაგალითი იმედს უმყარებს.

*P.S. რესპონდენტის თხოვნით, მისი და შვილების სახელები შეცვლილია. თუ ვინმეს ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - „მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. ტელ: 8 99 555 113*

ასოციაცია საფეხურები

ფეხბურთი

# უეფა რეფორმებს იწყებს

ნინო პირველი

ჩემპიონთა ლიგის დამაინტრიგებელი და დაძაბული ტურნირის ფონზე, უეფას თასისთვის ბრძოლა მაინცდამაინც პრესტიჟულად არ ითვლება ევროპაში. თავად განსაჯეთ: უეფას თასს ის გუნდები ეცილებიან ერთმანეთს, რომლებიც ან საკუთარ ჩემპიონატში გავიდნენ მეხუთე-მეექვსე ადგილებზე, ან ლიგის პირველივე ეტაპიდან გამოვარდნენ. მაყურებელს სთავაზობენ იმ კლუბების თამაშს, რომლებიც მოცემულ მომენტში გრანდთა შორის არ მოიხსენიებიან. თუმცა, უეფას თასი ყოველთვის როდი იყო უინტერესო. 2001-02 წლების სეზონში ამ ტურნირზე გამოდიოდნენ "მილანი", "ინტერი" და "ვალენსია", ის გუნდები, რომელთაც არაერთხელ უთამაშიათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. წლეულს კი "მილანი" სულაც ლიგის ჩემპიონი გახდა. ასე რომ, უეფას თასი სულაც არ არის მოსაწყენი და საინტერესო მატჩებით ზოგჯერ ჩემპიონთა ლიგასაც არ ჩამოუვარდება. ამის მიუხედავად, უეფას მაღალმა ჩინებმა მაინც გადაწყვიტეს გარკვეული რეფორმების გატარება, რათა ტურნირი უფრო დაძაბული და მიმზიდველი გახდეს.

ახალი წესები 2004-05 წლების სეზონში შევა ძალაში. 96-ის ნაცვლად, თასის ტურნირზე 80 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. პირველი წრე გამორიცხვის სისტემით ჩატარდება. კლუბები ორ-ორ მატჩს ითამაშებენ. ვისაც არ გაუმართლებს, ასპარეზობას გამოეთიშება. შემდეგ ეტაპზე მხოლოდ 40 გუნდი გავა. აქ გუნდები რვა ჯგუფში განაწილდებიან, თითოეულ ჯგუფში ხუთი კლუბი იქნება. ყველა გუნდი მხოლოდ ერთხელ შეხვდება თავის ოთხ მეტოქეს. ორი მატჩი საშინაო იქნება, ორიც - გასვლითი. პირველ სამ ადგილზე გასულ კლუბებს მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება ეძლევათ. ამ 24 გუნდს დაემატება ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნილი რვა გუნდი და დაიწყება ბრძოლა მერვედფინალისტისთვის - კენჭისყრის შედეგად გაირკვევა, ვინ ვის დაუპირისპირდება. გუნდები ერთმანეთთან ორ მატჩს ჩაატარებენ და შემდეგ ყველაფერი ისევ ჩვეულებრივად წარიმართება: გამარჯვებულები ჯერ მერვედფინალში გავლენ, მერე მეოთხედფინალში და ასე შემდეგ, ვიდრე ფინალში ორი საუკეთესო არ დარჩება. მაშინ, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში მეორე ეტაპზე ჯგუფური ტური გაუქმდა იმ მიზეზით, რომ ეს ხიბლს უკარგავდა ფეხბურთს (რადგან ზედიზედ სამი მატჩის მოგების შემთხვევაში ზოგიერთი გუნდი თავს აღარ იწუხებდა და მოედანზე მეორე შემადგენლობა გაჰყავდა), უეფას თასის ტურნირზე ჯგუფებად დაყოფა გერმანული კლუბების წარმომადგენლებს გამართლებულად მიაჩნიათ. "ჯგუფურ ეტაპსაც აქვს თავისი ხიბლი", - ირწმუნება დორტმუნდის "ბორუსიას" მენეჯერი მიხაელ მაიერი. ბერლინის "ჰერტას" მენეჯერი ული ჰიონესი კი ფიქრობს, რომ ჯგუფურ ეტაპზე გადასვლა უეფას და კლუბებს უფრო მეტ შემოსავალს მოუტანს. "როცა გუნდი პირველ წრეს გადალახავს და ჯგუფში მოხვდება, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ამ კლუბს, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი მატჩი მაინც აქვს ჩასატარებელი. გულშემატკივარი აუცილებლად მივა სტადიონზე თავისი გუნდის თამაშის სანახავად და ეს, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედებს კლუბების ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, ჩვენთვის ამ წესს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ისედაც ვაპირებთ, სულ ცოტა, მეოთხედფინალში გასვლას", - თავმომწონედ დასძინა "ჰერტას" ბოსმა.

იტალიაში კი ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებას მიესალმებიან. "80 გუნდი იმას ნიშნავს, რომ უეფას თასზე მოხვედრა ძნელი გახდება და კლუბებს შორის კონკურენცია დაიწყება, რაც დიდად შეუწყობს ხელს თავად ფეხბურთის განვითარებას. უეფას ტურნირი კი ბევრად უფრო საინტერესო იქნება", - მიაჩნია "რომას" თავკაცს ფაბიო კაპელოს.

TV-სპორტი

**შაბათი. 12 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 რუსეთის ჩემპიონატი. "ლოკომოტივი" - "რუბინი"
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:30 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ბარსელონა" - "არსენალი"
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ნიურნბერგი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 „FUTBOL MUNDIAL"
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკ-ალანია" - "შინიკი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" (კიევი) - "ვოლინი" (ლუცკი). პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალურგი" (ზაპოროჟიე) - "შახტიორი" (დონეცკი)
01:35 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "სელტა"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 16:00, 20:00, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:55 კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდში. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 მძლეოსნობა. IAAF Golden League "Gas de France". შესვენებისას (17:00) პრეს-ცენტრი
19:30 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
20:15 საერთაშორისო რბოლა
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 საწყლოსნო სახეობების მსოფლიო ჩემპიონატი ბარსელონაში. გახსნის ცერემონიალი
00:00 პოკერი. "One Million Poker - 2003". ფინალი
00:45 ახალი ამბები
01:00 კალათბურთი. WNBA All Star Game"

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
13:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
21:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის კლასიკა
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი
02:45 ექსტრემალური სპორტი
03:15 მოტორბოლა. დიდი ბრიტანეთის გრან-პრი
03:45 ავტორბოლა. ინდიკარის სერია აშშ-ში
04:45 ახალი ამბები

Tour de France

# COMEDIA LA FINITA

ირაკლი ბერიაშვილი

თამაში მორჩა, დღეს ნამდვილი ტური იწყება.

დღეს პელოტონი სტარტიდან ორმოცდამეათე კილომეტრზე თავის არცთუ რთულ, მაგრამ პირველ მთას მიადგება. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ალპებში ვართ და ტურის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ველომრბოლების წინ პირველი მთიანი ეტაპია.

დღეიდან ბევრი რამ შეიცვლება. ყველაზე თვალშისაცემი ის არის, რომ შესამჩნევად იკლებს მეტიჩარა გამქცევთა რიცხვი, ნებით თუ უნებლიეთ ჩრდილში მოექცევიან ის სპორტსმენები, რომლებსაც ვაკე-ეტაპებზე სპრინტერებად მოიხსენიებენ, აქ კი, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელი, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე სახელი ჰქვიათ. რას იზამ, პეპლებისა არ იყოს, ბევრ მათგანს აქ მართლა რამდენიმე დღის სიცოცხლე უწერია. გაიშვიათებული ჰაერი და გრძელი აღმართები, ბოლოს და ბოლოს, აიძულებს, ამბიციები დაიოკონ და "ნახვამდის" უთხრან ტურს. და, რაც მთავარია, ნამდვილები... თუმცა, ჯერ ზერელედ მაინც მოვავლოთ თვალი იმას, რასაც მთის ეტაპი ჰქვია.

ეს არის ჩვეულებრივი ეტაპი, ესე იგი, ერთ დღეში გასავლელი გზა, დაახლოებით 150-200 კილომეტრის სიგრძისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ გზაზე სამი, ოთხი, ან, შესაძლოა, მეტი უღელტეხილიც იყოს. აღმართები სხვადასხვა სიგრძისა და სხვადასხვა დახრილობისაა. კატეგორია – მეოთხე, მესამე, მეორე, პირველი ან უმაღლესი – იმ შემთხვევაში ენიჭება აღმართს, თუ მისი დახრილობა, სულ მცირე, 4-5 პროცენტია. ეს იმას ნიშნავს, რომ გზა ყოველ ას მეტრში 4-5 მეტრით იწევს მაღლა. მეოთხე და მესამე კატეგორიის მთების სიმაღლე ზღვის დონიდან 1000 მეტრს არ აღემატება. პირველი და მეორე კატეგორიებისა მერყეობს 1000-დან 1500 მეტრამდე. უმაღლესი კატეგორიის გადასასვლელები 1500 მეტრს ზემოთაა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო ეს მონაცემი - სიმაღლე ზღვის დონიდან - ნამდვილად ვერ განსაზღვრავს აღმართის სირთულეს. ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღმართის სიგრძესა და დახრილობას. უმაღლესი კატეგორიის აღმართები, როგორც წესი, თხუთმეტ კილომეტრზე გრძელია, დახრილობა კი - არანაკლებ რვა პროცენტი. თუმცა, ხვალ პელოტონს გადასავლელი აქვს უღელტეხილი კალიბიერი, რომლის სიგრძე, მართალია, 18 კილომეტრია, მაგრამ დახრილობა მხოლოდ 6,7 პროცენტს შეადგენს. არადა, ეს აღმართი უმაღლესი კატეგორიის აღმართად ითვლება. საქმე ის არის, რომ გადასასვლელის უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 2650 მეტრზე მდებარეობს. და კიდევ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მთა, თუ ის ეტაპის ბოლოშია. ესე იგი, თუ ეტაპის ფინიში აღმართით მთავრდება. საქმე ის არის, რომ ეტაპის შუაში მოთავსებულ აღმართებს პელოტონი საკმაოდ მშვიდად, საშუალო სიჩქარით აივლის ხოლმე. ბოლო მთაზე კი ნამდვილი ბრძოლა იწყება.

ახლა, სურათი რომ დასრულებული სახით წარმოიდგინოს მკითხველმა, აუცილებლად უნდა ითქვას: მთიანი ეტაპების რაოდენობა მრავალდღიანებში (ჯირო, ტური, ვუელტა) ხუთიდან შვიდამდე მერყეობს. წლევანდელ ტურში 7 მთიანი ეტაპია. დანარჩენი თოთხმეტიდან 10 ვაკე-ეტაპებს განეკუთვნება, 4 კი დროსთან დამოუკიდებელი, ინდივიდუალური ბრძოლისთვისაა განკუთვნილი.

ალბათ, გასაგებია, რაც იგულისხმება ვაკე-ეტაპებში. გზაზე არ არის აღმართები და ეტაპი, როგორც წესი, ჯგუფური, სპრინტერული ფინიშით მთავრდება.

რაც შეეხება დარჩენილ 4 ეტაპს. ერთ მათგანს პროლოგი ჰქვია და სრულიად ამართლებს თავის სახელს. ეს საკმაოდ მოკლე ინდივიდუალური რბოლა ტურ დე ფრანსის პირველ დღეს ეწყობა. ეტაპის სიგრძე სულ 7-10 კილომეტრია. სპორტსმენები სტარტიდან ცალ-ცალკე, დროის გარკვეული ინტერვალებით გადიან.

ამ ოთხიდან მეორეს ინდივიდუალურ-გუნდური ჰქვია. აქაც იგივე წესი მოქმედებს, ოღონდაც სტარტიდან დროის სამწუთიანი ინტერვალებით გადიან გუნდები და არა ცალკეული სპორტსმენები.

დარჩენილი ორი ინდივიდუალური რბოლა წინა ორზე გაცილებით რთული და საპასუხისმგებლოა. ეს ეტაპები ტურ დე ფრანსზე დაახლოებით მეათე-მეთვრამეტე ეტაპებს შორის ეწყობა. სიგრძე 50-დან 60 კილომეტრამდე მერყეობს. სხვათა შორის, ეს ორი ეტაპი ძალიან წააგავს მთის ეტაპებს. ძლიერ მრბოლებს აქაც ეძლევათ საშუალება, გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვონ. იმიტომ რომ აქ ახლომახლო არავინ იქნება ისეთი, ვის ზურგს უკანაც ენერგიის დაუხარჯავად ივლი (სამწუთიანი ინტერვალი ამის საშუალებას არ იძლევა). ესეც არ იყოს, უბრალოდ, აკრძალულია მეტოქის ზურგს ამოფარება, ანუ, როგორც ველომრბოლები იტყვიან, ბორბალზე დაჯდომა. აღმართებზეც, მართალია, იქ არც ინტერვალებით ზღუდავენ მრბოლებს და მეტოქის ბორბალზე დაჯდომაც არ არის აკრძალული, მაგრამ დაბალი სიჩქარის გამო არც აქვს აზრი აეროდინამიკური ეფექტის გამოყენებას. ერთადერთი, რაც მთაში შედეგს იძლევა, თანაგუნდელის გვერდით ყოფნის ფსიქოლოგიური ფაქტორია. საამისოდ კი უკლებლივ ყველა ფავორიტს საკუთარი გრეგარი, უხეშად რომ ვთქვათ, დამხმარე მუშა ჰყავს. არმსტრონგისთვის ეს რობერტო ჰერასია, ერთ დროს საკუთარი ესპანური გუნდის ლიდერი და ვუელტას ჩემპიონი; მანსებოსთვის –- მერკადო და მენშოვი; ულრიხისთვის - ანგელ კასერო, ასევე ვუელტას ჩემპიონი; ბოტეროსთვის - ალბათ, ვინოკუროვი და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას თვალნათლივ დაინახავთ, თუ არ დაგეზარებათ და სადამოობით ევროსპორტს მიადევნებთ თვალს. დღევანდელ მთის ეტაპზე თავს ვერ დავდებ, აი, ხვალ კი ნამდვილად სასიამოვნო წუთები გელით ჯერ კალიბიერზე, ბოლოს კი თავისი სისასტიკით ცნობილ ალპ დუეზზე ასვლისას. პელოტონის ავანგარდში საკმაოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი იქნება. სულ იოლად გაარჩევთ ნომრებსაც - ლანს არმსტრონგი №1, ხოსება ბელოკი №11, სანტიაგო ბოტერო №21, ფრანსისკო მანსებო №31, ჯილბერტო სიმონი №51, ტაილერ ჰამილტონი №71, იან ულრიხი №131. რა თქმა უნდა, ერთხანს გვერდით ეყოლებათ თავიანთი გრეგარები და, შესაძლოა, ერთი-ორი სხვა ვინმეც. მაგრამ, ძირითადად, ალბათ, უკვე შენიშნეთ კიდეც, ერთიანზე დაბოლოებული ნომრები მოგხვდებათ თვალში. მაგათი პატრონები ნამდვილები, მართლა პირველები არიან თავიანთ საქმეში.

ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, კომედია დასრულდა, ახლა თქვენ დრამას იხილავთ.



ალესანდრო პეტაკი ფინიშთან პირველი მივიდა,

**ტექნიკური შედეგები**

**V ეტაპი. ტრუა - ნევერი. 196,5 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (ფასა ბარტოლო, იტალია) | 4სთ.09 წთ.47 წმ. |
| 2. იან კირსიპუუ (Ag2r, ესტონეთი) | იგივე დრო |
| 3. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) | იგივე დრო |

**VI ეტაპი. ნევერი – ლიონი. 230 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (ფასა ბარტოლო, იტალია) | 5.8.35 |
| 2. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) | იგივე დრო |
| 3. ფაბრიციო გუიდი (ბიანკი, იტალია) | იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ჰუგო პენა (US პოსტალი) | 23 სთ. 3 წთ. 6 წმ. |
| 2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი) | იგივე დრო |
| 3. ვიაჩესლავ ეკიმოვი (US პოსტალი) | იგივე დრო |
| 4. ხორხე ჰინკაპი (US პოსტალი) | იგივე დრო |
| 5. ხოსე ლუის რუბიერა (US პოსტალი) | იგივე დრო |
| 6. რობერტო ერასი (US პოსტალი) | იგივე დრო |

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** რონალდინიოს წინასასეზონო ვარჯიშზე კლუბში გამოუცხადებლობის გამო ფრანგულ "პარი სენ ჟერმენს" ბრაზილიელი ნახევარმცველის დაჯარიმება განუზრახავს. ფრანგული კლუბის ოფიციალურ სატიზე განთავსებული კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, რონალდინიო ბრაზილიიდან დაბრუნებისთანავე, სადაც იგი ისვენებდა, გუნდს 10 ივლისს უნდა შეერთებოდა. "პსჟ"-ის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კლუბისადმი უპატივცემულობის გამო ფეხბურთელმა პასუხი უნდა აგოს. ამავე განცხადებაში ისიც წერია, რომ რონალდინიოს შეძენის სურვილით "პსჟ"-ს "ბარსელონამ" და "ჩელსიმ" მიმართეს. თუმცა, ფრანგებს არც ესპანელთა და არც ინგლისელთა წინადადება არ ხიბლავს. "პარი სენ ჟერმენს" ბევრად უფრო აინტერესებს მადრიდის "რეალის" შეთავაზება, რომლის თანახმადაც რონალდინიო მომავალ სეზონშიც ახლანდელი კლუბის ღირსებას დაიცავს და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართება სამეფო კლუბში. ამასობაში კი რონალდინიოს სხვა მიზნები ამოძრავებს. ბრაზილიელ ნახევარმცველს "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაში უნდა.

■ ■ ■

**კრივი.** კრივის მსოფლიო საბჭომ (WBC) გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი, რომლის თანახმადაც თვალშისაცემია ის, რომ მძიმეწონოსანმა ჰასიმ რაჰმანმა მეორედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო უკრაინელი ვიტალი კლიჩკო პირველიდან მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შარშან იჯარის უფლებით "ლიდსიდან" "რომაში" განათხოვრებულმა მცველმა ოლივერ დაკურმა რომაელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა კლუბის ოფიციალურმა საიტმა. ფეხბურთელის ტრანსფერი რომაელებს 5 მილიონი ევრო დაუჯდათ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** პატრიკ რუამ უარყო ხმები, თითქოს სათამაშო მოედანს უბრუნდებოდეს. სამშაბათს საბუთებზე ხელმოწერით რუამ პენსიაზე გასვლა ოფიციალურად დაადასტურა. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს სეზონში ცნობილი ჰოკეისტის ლიგაში დაბრუნება გამორიცხულია. რუას გადაწყვეტილებაზე გავლენას არ იქონიებს ის ფაქტიც, რომ "კოლორადოში" თამაშს აპირებენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან პოლ კარია და ტეემუ სელიანე.

■ ■ ■

**კალათბურთი.** სავსებით შესაძლებელია, NBA მეორე საუკეთესო სნაიპერმა კარლ მელოუნმა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მაისურა ჩაიცვას. მელოუნი მეორე თავისუფალი აგენტია, რომელიც, სავარაუდოდ, სეზონთა შორის "ლეიკერსთან" გააფორმებს კონტრაქტს. პირველი, ვინც "ლეიკერსთან" კონტრაქტი გააფორმა, NBA ყველა ვარსკვლავთა ცხრაგზის მონაწილე გარი პეიტონია. სწორედ პეიტონისა და მელოუნის წყვილი, ამასთან, შაკილ ო`ნილი და კობი ბრაიანტი არიან ის მოთამაშეები, რომლებსაც ოკეანის გაღმა სასტარტო ხუთეულის ყველაზე რეალურ კანდიდატებად მოიაზრებენ.

შეგახსენებთ, რომ "ლეიკერსი" 1999-2002 წლებში ზედიზედ სამჯერ დაეუფლა NBA-ს უმთავრეს ტიტულს.

■ ■ ■

**მშვილდოსნობა.** აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერით ერაყელ მშვილდოსანთა ჯგუფი და მათი მწვრთნელები ორშაბათს, 14 ივლისს, ბაღდადიდან ნიუ იორკში ჩავლენ, რათა მსოფლიო ჩემპიონატში მიიღონ მონაწილეობა. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურმა, რომელიც იმავდროულად ერაყელ სპორტსმენთა სპონსორიცაა. აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკის მსოფლიო ჩემპიონატს ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის შესარჩევი დატვირთვა აქვს.

გარდა ამისა, ერაყელი მშვილდოსნები ვაშინგტონსა და სან დიეგოს (კალიფორნია) აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საწვრთნელ ბაზასაც ეწვევიან.

რაგბი

# სამი ერი იწყება!




დღეიდან 16 აგვისტომდე სამხრეთ ნახევარსფეროში დიდი ბურთაობა იქნება – სამი ერის გათამაშება იწყება. სარაგბო სამყაროში ეს ტურნირი მნიშვნელობით მხოლოდ მსოფლიო თასს ჩამოუვარდება, მსოფლიო თასი კი - მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებსა და საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატს. ასე რომ, რაგბიში გაუთვითცნობიერებელი კაცისთვისაც კი ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ შეჯიბრებას ეძლევა სტარტი.

1903 წელი იყო, ავსტრალია და ახალი ზელანდია პირველად რომ შეხვდნენ ერთმანეთს. სამხრეთ აფრიკა მათ 1921 წლიდან შეუერთდა. იქიდან მოყოლებული, 1996 წლამდე, გუნდები ერთმანეთთან უპირატესობას არაოფიციალურად ამტკიცებდნენ, მათ შეხვედრებს ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა.

პირველი ოფიციალური შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ მსოფლიო რაგბის ბობოლებმა მიიღეს მონაწილეობა (თუმცა, საკლუბო დონეზე), იყო ზე-6, იგივე სამხრეთ ოკეანეთის ჩემპიონატი, რომელშიც ახალი სამხრეთ უელსის, ქვინზლენდის, ფიჯის, ოკლენდის ქენთერბერის და ველინგტონის გუნდები თამაშობდნენ. 1993 წლიდან, როცა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება სამხრეთაფრიკელებსაც მიეცათ, ზე-6 ზე-10-ად გადაკეთდა, 1995 წლის მსოფლიო თასის შემდეგ კი შეჯიბრებაში უკვე 12 გუნდი ასპარეზობდა. ამ დროს ჩამოყალიბდა SANZAR-იც, სამხრეთ აფრიკის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის გაერთიანებული სარაგბო ორგანო, რომელმაც შემდგომ დააარსა კიდეც სამი ერის გათამაშება და ბობოლებს თავისი ამბიციების (სხვებზე მაღლა დგომის ოფიციალური დასტური) დაკმაყოფილების საშუალება მისცა.

პირველი შეჯიბრება 1996 წელს ჩატარდა და ახალზელანდიელთა გამარჯვებით დასრულდა. იქიდან მოყოლებული, კივებმა კიდევ სამ ტურნირზე იმარჯვეს. ორჯერ პირველობა ხვდათ წილად ავსტრალიელებს და მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს, შეძლეს სამხრეთში საუკეთესო გუნდის ტიტულის მოპოვება სამხრეთაფრიკელებმა.

ძნელი სათქმელია, რა მოხდება წლეულს. არც ერთი გუნდის მწვრთნელი არ მალავს, რომ ეს ტურნირი იქნება მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპი. შესაძლოა, უმთავრესიც კი, მაგრამ მაინც მოსამზადებელი. ამიტომაც გუნდების შემადგენლობაში გარკვეული ექსპერიმენტებია მოსალოდნელი.



მოკლედ

## დაწუნებული რემბრანდტი

რემბრანდტის ავტოპორტრეტი „სოთბის" აუქციონზე 7 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ეს ნახატი მხატვარმა 1634 წელს შექმნა, დაახლოებით 300 წლის მანძილზე ავტოპორტრეტი საღებავის სქელი ფენით იყო დაფარული (ნახატი, როგორც გაირკვა, რემბრანდტის მოწაფემ გადაღება) და მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ავტოპორტრეტი ამერიკელმა მილიარდერმა სტივ ვინმა შეიძინა, რომელმაც ქონება თამაშის ბიზნესით დააგროვა. 60 წლის ვინი აშშ-ში ერთ-ერთი სერიოზული კერძო კოლექციონერია. ტილო, რომელიც ამიერიდან მის შესანიშნავ კოლექციას დაამშვენებს, ბოლო დრომდე უცნობი რუსი არისტოკრატის პორტრეტად ითვლებოდა. მერე ვიღაცამ ეჭვი შეიტანა, ტილო საგანგებო ექსპერტიზაზე წაიღეს და სპეციალისტებს გაოცების შეძახილი აღმოხდათ...

ხელოვნებათმცოდნეები შეგვახსენებენ, რომ როდესაც რემბრანდტის თანამედროვე დამკვეთები ამა თუ იმ ნახატზე უარს ამბობდნენ, „დაწუნებულ" ნამუშევარს მხატვრები გადაღებავდნენ ხოლმე. მაშინ ტილო ძალიან ძვირი ღირდა. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ გადაღებეს თავის დროზე ეს ნახატი. გასაგებია, რომ მყიდველი მხატვრის ავტოპორტრეტის შეძენით ნაკლებად იქნებოდა დაინტერესებული.

წელს მარტში ნახატი ამსტერდამის მუზეუმში გამოფინეს, მერე კი „სოთბის" აუქციონზე გამოიტანეს.

## მაიაკოვსკის მანჰეტენური ცხოვრება

ვლადიმირ მაიაკოვსკის ქალიშვილი პატრისია თომპსონი მოსკოვში ჩავიდა და ლიტერატურულ საზოგადოებას გააცნო თავისი წიგნი „მაიაკოვსკი მანჰეტენზე" (რუსული გამოცემა). პატრისია თომპსონი ვლადიმირ მაიაკოვსკისა და აშშ-ის მოქალაქის, რუსული წარმოშობის ელი ჯონსის შვილია. ელი ჯონსისა და ცნობილი რუსი პოეტის ურთიერთობის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არავინ არაფერი იცოდა, ბევრისთვის ისიც არ იყო ცნობილი, რომ პატრისია მაიაკოვსკის შვილი იყო. პოეტმა ელი 1925 წელს გაიცნო, როცა აშშ-ში ჩავიდა.

ყველაფერი მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში გაირკვა, პოეტის სიკვდილიდან 60 წლის შემდეგ, როდესაც მისმა ქალიშვილმა - ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა პატრისია თომპსონმა განაცხადა, რომ ის მაიაკოვსკის შვილი იყო და აპირებდა დაეწერა წიგნი თავისი მშობლების ცხოვრებაზე, მათ სიყვარულზე. ჩანაფიქრი განახორციელა კიდეც. 1993 წელს ამერიკაში გამოიცა წიგნი „მაიაკოვსკი მანჰეტენზე".

ამჟამად თომპსონი მოსკოვის სტუმარია. რუს მკითხველთან შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ დედისგან მაგნიტოფონის კასეტები დარჩა, მნიშვნელოვანი ჩანაწერებით. სწორედ ამან უბიძგა წიგნი დაეწერა. „მივხვდი, რომ უნდა მეთქვა სიმართლე, ის რაც მე და დედაჩემს გვეხებოდა, - თქვა ავტორმა და იქვე ისიც დასძინა, ძალიან გამიჭირდა ისეთ გენიალურ ადამიანზე წერა, როგორიც მაიაკოვსკი იყოო.

რუსი ლიტერატორები დარწმუნებულნი არიან, რომ თომპსონის წიგნი რუსეთში დიდ დაინტერესებას გამოიწვევს. ის ამბავიც გახმაურდა, რომ ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა უკვე გამოთქვა სურვილი დადგას სპექტაკლი ამ ნაწარმოების მიხედვით.

## ქეთრინის გახსენება

ასე ჰქვია ბიოგრაფიულ წიგნს,რომელიც 11 ივლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვა, წიგნს რომელიც ავტორმა სკოტ ბერგმა მსახიობ კეტრინ ჰეპბერნს მიუძღვნა. "წიგნის პუბლიკაცია, მსახიობის სიკვდილის შემდეგ, არ ყოფილა უბრალოდ დამთხვევა, - აცხადებდა ავტორი, - ეს მსახიობის უკანასკნელი სურვილი იყო. შიშობდა რა, რომ ბევრი შეეცდებოდა სიკვდილის შემდეგ მის ცხოვრებაში ჩარევას და ისეთ შეცდომებსა და უზუსტობებს დაუშვებდა, რაც არა ერთხელ მომხდარა წარსულში. ამიტომაც უნდოდა რომ ეს წიგნი, რომლის წერაც მე 1983 წელს დავიწყე, ჩვენი გაცნობის პირველი დღიდან და რომლის ბოლო პარაგრაფები მე მისი სიცოცხლის ბოლო კვირებში დავწერე, გადმოცემულიყო ახლა, სიკვდილის შემდეგ". ქეთრინ ჰეპბერნი 96 წლის ასაკში, 29ივნისს გარდაიცვალა.

# კშიშტოფ ზანუსი: გემოვნების საკითხებში უმრავლესობა ყოველთვის ცდება

*კვირაზე მეტია სასტუმრო "მარიოტში" ევროპელი და ამიერკავკასიელი კინემატოგრაფისტების შეხვედრები იმართება. შვეიცარულმა პროგრამამ "ავანტი" თბილისში კინოს ცნობილი და პროფესიონალი ოსტატები შეკრიბა. მათ შორისაა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და უდიდესი პოლონელი რეჟისორი კშიშტოფ ზანუსი.*

*კინოს, თეატრისა და ტელევიზიის რეჟისორი, სცენარისტი და პედაგოგი კშიშტოფ ზანუსი 1939 წლის 17 ივნისს ვარშავაში დაიბადა. 1955-59 წლებში იყო ვარშავის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი; 1959-62 წლებში კრაკოვის იაგელონსკის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი; 1966 წელს დაამთავრა ლოძის კინოსკოლის სარეჟისორო ფაკულტეტი. მისმა სადიპლომო ნამუშევარმა - "პროვინციელის სიკვდილი" მანჰეიმის ფესტივალზე "ოქროს ლომი" მოიპოვა; როგორც რეჟისორს, მიღებული აქვს პრიზები ვენეციის, ვალიადოლიდისა თუ მოსკოვის ფესტივალებზე. 1987 წლიდან მოღვაწეობს თეატრშიც.*

*1966 წლიდან პოლონეთსა და მის საზღვრებს გარეთ ზანუსის გადაღებული აქვს უამრავი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, როგორც კინოსთვის, ისე ტელევიზიისთვის. ზანუსი ყველა თავისი ფილმის ავტორი და თანაავტორია. სხვადასხვა დროს ამ სცენარების ნაწილი ქვეყნდებოდა პოლონეთში, რუსეთში, იტალიაში, გერმანიასა თუ უნგრეთში. 1967 წლიდან კშიშტოფ ზანუსი იყო კინოსტუდია TOR-ის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. ამჟამად იგი ასწავლის უმაღლეს სახელმწიფო კინოსასწავლებელში, არის სილეზიის (კატოვიცეში) უნივერსიტეტის პროფესორი, თანამშრომლობს ბრიტანულ National Film School-თან; მუშაობს პოლონეთის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და რუსეთის თეატრებში რეჟისორად; 1994 წლიდან ვატიკანის კულტურის კომისიის კონსულტანტია, პრეზიდენტობს საზოგადოებას EUROVISION, არის პოლონური "პენ-კლუბის" წევრი და მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი.*

*გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ცნობილ პოლონელ რეჟისორს სასტუმრო "მარიოტში" ცნობილმა თეოლოგმა ნოდარ ლადარიამ ჩამოართვა.*



ზანუსი: საქართველოში მეოთხედ ჩამოვედი.

**- თქვენი გვარი იტალიური წარმოშობისაა, ქართველები კი ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გენეტიკას. გეხმარებათ თუ არა შემოქმედებით მოღვაწეობაში იტალიური ძირები?**

- როგორ გითხრათ, არც მეხმარება და არც მიშლის. ეს უკვე დიდი ხნის ამბავია: მე მეოთხე თუ მეხუთე თაობაში ვარ იტალიელი.

**- წარმოიდგინეთ, რომ სადმე ქუჩაში ასეთი დიალოგი გაიგონეთ: "ზანუსი? სარეცხი მანქანა? — არა, რეჟისორი". რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს თქვენზე?**

- ოჰ, ეს თითქმის ყოველდღე ხდება. ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. მართალია, ამ ცნობილი ფირმის მდგომარეობა ახლა უკვე შეიცვალა, მაგრამ მისი მფლობელები ჩემი შორეული ნათესავები არიან და ძალიან გულთბილად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

**- ჩვენს მედიაში წამდაუწუმ აცხადებენ, რომ თქვენ იოანე პავლე II-ის მრჩეველი ბრძანდებით კულტურის დარგში...**

- არა, ეს გადაჭარბებულია! მე მხოლოდ კულტურის პონტიფიკალური საბჭოს კონსულტანტი ვარ...

**- კარდინალ ჟან პოლ პუპარდის უწყებას გულისხმობთ?**

- დიახ, დიახ...

**- უბრალო ცნობისმოყვარეობას ხარკი გადავუხადეთ. ახლა კი სერიოზულ საკითხებსაც მივხედოთ. შეიძლება თუ არა, ვთქვათ, რომ თქვენს მიერ გადაღებული ფილმები რელიგიური ხელოვნებაა?**

- ცალსახად ასე ვერ ვიტყვი. ასე შევთანხმდეთ: მე ახალი ენის შემუშავება მსურს. არსებობს სარწმუნოება, რელიგია, მეტაფიზიკა, საიდუმლოება. სარწმუნოება მისი გარეგნული გამოხატულების ანუ რელიგიის გარეშე გაურკვეველი და ბუნდოვანია. რელიგია მეტაფიზიკის გარეშე — იდეოლოგიად გადაგვარდება. მაგალითად, ალბერ კამიუს თავი ურწმუნოდ მიაჩნდა, მაგრამ მის ნაწარმოებებში იმდენი მეტაფიზიკაა, რომ შეიძლება ადამიანი რწმენამდე მიიყვანოს. მეორე მხრივ, მე პაპის ცხოვრებაზე გადავიღე ფილმი, რომელშიც არც რწმენა იყო და არც რელიგია — ეს უფრო სოციალური ფილმი იყო. ჩემი მიზანია, ადამიანს სიმართლის ძიება ვაჩვენო.

**- მაშინ ასე დავაყენოთ საკითხი: დიდი ხნის განმავლობაში და მათ შორის გასულ საუკუნეშიც კი კათოლიკური ეკლესიის მხარეს დადგომა კონფორმიზმს ნიშნავდა. დღეს, მსოფლიო შეიცვალა და, შესაძლოა, ეს ანტიკონფორმიზმადაც მივიჩნიოთ. ნუთუ არჩევანი კონფორმიზმსა და ანტიკონფორმიზმს შორის უბრალოდ რაოდენობრივია და მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, დამარცხებულის მხარეზე დგახარ თუ გამარჯვებულის?**

- ეს ვერაგული შეკითხვაა. რამდენიმე თვის წინათ ერთ ამერიკელ პროფესორს ვეკამათე. სულ მსაყვედურობდა და რელიგიურ ადამიანებს ერთიანად ფანატიკოსებად და ფუნდამენტალისტებად იხსენიებდა. ვუთხარი, ყველაზე დიდი საშიშროება ფუნდამენტალისტური ანტიფუნდამენტალიზმია-მეთქი. უნდა ვთქვა, რომ არსებობს სუფთა კონფორმიზმი — ეს მედროვეობა და ეგოიზმია. მაგრამ არსებობს სუფთა ატიკონფორმიზმიც — ეს სიბრიყვე და სიჯიუტეა. მე კვლავ მინდა გავიმეორო, რომ მთავარი სიმართლის ძებნაა, როგორიც არ უნდა იყოს ეს სიმართლე, ხელსაყრელი თუ უხერხული. ისე კი სიმართლე ყოველთვის უხერხულია.

**- კი მაგრამ, დავუშვათ, თქვენი ფილმის რომელიმე მაყურებელი, როგორც თქვენ ამბობთ, სიმართლის გზას დაადგა. კონკრეტულად რა ელის მას? — კვირაობით მესაზე სიარული და შობის დღესასწაულზე აღსარება?**

- თუ მამაკაცია, სააღდგომოდ აბარებს აღსარებას. მე ძალიან ბევრ მორწმუნე ადამიანს ვიცნობ, რომლებიც არ არიან რელიგიურნი და კიდევ უფრო მეტს ვიცნობ რელიგიურ ადამიანს, რომელთაგან თითოეულს ღვთის რწმენა აკლია. აუცილებელია, რომ ეს ორი რამ ჰარმონიულად იყოს შეერთებული პიროვნებაში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღვთის რწმენა რაიმე პატენტს იძლევა. ან რომ მორწმუნეთა შორის პატიოსან და ზნეობრივ ადამიანთა წილი მეტია, ვიდრე ურწმუნოთა შორის. უბრალოდ, მორწმუნეებს რელიგია ავალებს, აღიარონ და მოინანიონ თავიანთი ცოდვები. ეს არის და ეს.

**- ისე, საუბრის შესამსუბუქებლად: თბილისში პირველად არ ჩამობრძანებულხართ...**

- ოჰ, მგონი მეოთხეჯერ ვარ. პირველად ოთარ იოსელიანმა ჩამომიყვანა ჯერ კიდევ საბჭოთა დროს და საოცრად მომეწონა.

**- საზოგადოდ, პოლონელებს მოსწონთ საქართველო.**

- დიახ, საერთო ბევრი რამ გვაქვს ხასიათში. სიამაყე, მაგალითად. იცით, ჩემი სიმამრი კარგა ხნის განმავლობაში ცხოვრობდა აქ პირველ მსოფლიო ომამდე. მერე შვილებს თავისი გულუბრყვილო და გულწრფელი პოეზია დაუტოვა, მათ შორის ბევრი ლექსი იყო საქართველოზეც. მათში ვინმე შალიკაშვილიც მოიხსენიება — როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ბაბუა.

**- კეთილი, ჩავთვალოთ, რომ ლირიკული გადახვევა დავასრულეთ და ისევ საქმეს მივხედოთ. მიხალკოვ-კონჩალოვსკიმ თქვა ოდესღაც, კინორეჟისორი ყველაზე ნაკლებ თავისუფალი ხელოვანია, რადგან კინო ძვირი ღირსო. შეგიძლიათ იმის თქმა, რომ ყოველთვის თავისუფალი იყავით, გეკეთებინათ ის, რაც გსურდათ?**

- ბოლომდე, რა თქმა უნდა, არა. იყო პროექტები, რომელთა განხორციელებაც არ მეღირსა. მაგრამ იგივე შეუძლია თქვას, მაგალითად, არქიტექტორს. ყოველთვის ვერ შოულობ ფულსა და მხარდაჭერას. მაგრამ სწორედ ამიტომაა ცხოვრება ბრძოლა.

**- ხომ გახსოვთ ჩვენი შეხვედრა რომში ოთხი წლის წინათ: მაშინ ვამბობდი, რომ ახლა პოლიტკორექტულობის გამო ვერავის ეტყვი, რომ უნიჭოა, ეს კი საშინელ დაღს ასვამს ხელოვნებასა და საზოგადოდ კულტურას. სწორედ ამ სიტყვებმა მიიპყრო თქვენი ყურადღება...**

- ახლაც გეთანხმებით. ჯერ კიდევ მამაჩემი ამბობდა, ბესტსელერის წაკითხვა როგორ შეიძლება, თუ იყიდება, ესე იგი ცუდიაო. ან თუ სიმღერა ჩარტში პირველ ადგილზეა — ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ სიმღერა არაფრად ვარგა. გემოვნების საკითხებში უმრავლესობა ყოველთვის მტყუანია: ქალების უმრავლესობა მაკიაჟს ვერ ირჩევს, მამაკაცებისა კი — შესაბამის ჰალსტუხს (აი, ჩემი ჰალსტუხიც არაა დღეს მთლად გემოვნებით შერჩეული). მართალია, ზოგი რამ ორივე დონეზე ერთნაირად წარმატებულია და ხშირად ამბობენ, რომ ბიბლიაც კარგად იყიდება, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია.

**- ადრე, როცა მოახლე გოგოებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, ვინ დაწერდა მათთვის რომანებს. არც ერთი მწერალი არ იგულისხმებდა მათ მკითხველთა შორის. დღეს კი შეცვლილი ვითარება იმას გვაიძულებს, რომ ბაზრის უგემოვნო უმრავლესობაც გავითვალისწინოთ. მით უმეტეს, გარდამავალ პერიოდში, როცა შებრუნებულ ფარას კოჭლი ცხვრები უძღვიან წინ.**

- ოდესღაც ჰაიდნი და მოცარტი მთელს ავსტრიაში ოციოდე კაცისთვის წერდნენ საუკეთესო მუსიკას: მათთვის, ვისაც საკმაო ფული ჰქონდა ორკესტრის შესანახად. თქვენც გყავთ მილიონერები, მაგრამ ისინი, შეიძლება ითქვას, ჯერ ველურები არიან. აი, მაგალითად ნიუ იორკის "მეტროპოლიტენ ოპერა" კერძო შემოწირულობებით არსებობს. დადგება დღე, ასე ათიოდე წელიწადში, როცა თქვენი მდიდრებიც მიხვდებიან, რომ ოპერა რამდენიმე გიჟი ინტელექტუალის უქმი გასართობი არაა.

ჩემი აქ ჩამოსვლის მიზანიც ისაა, რომ ჩემი სემინარებით მცირე წვლილი შევიტანო აქ შესაძლო და სავარაუდო კულტურულ განვითარებაში.

# მოსკოვური ღამე

დი-ჯეი ასია "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მორიგი სტუმარი

*"აჭარა მიუზიკ ჰოლში" გრძელდება მოსკოველი დი-ჯეების წარმოდგენა. ღონისძიების Moscow Beat მორიგი სტუმარი მოსკოვური კლუბების ერთ-ერთი ცნობილი მუსიკალური წამყვანი დი-ჯეი ასია იქნება. ის დღეს საღამოს თბილისის მეგაკლუბში ჰაუსსა და საცეკვაო მუსიკას გამიქსავს.*

ვერა ნეფარიძე

"აჭარა მიუზიკ ჰოლის" მენეჯმენტის წყალობით წლევანდელი ზაფხული თბილისში შედარებით საინტერესოა. განსაკუთრებით კმაყოფილები ისინი არიან, ვისთვისაც ახლობელია საკლუბო სიტუაციები. ბოლო დროს კლუბში ზედიზედ რამდენიმე მაღალი დონის მუსიკალური საღამო გაიმართა – პიკი იყო ბრიტანეთის საკონსულოს მიერ ორგანიზებული ბრიტანელი საკლუბო ოსტატების (ფრექ ნასტი და Raya) წარმოდგენა; "აჭარა მიუზიკ ჰოლის" აუდიტორია კარგად გაართო დი-ჯეი მელორმაც, რომელიც კლუბის პრომოუტერებმა მოსკოვიდან მოიწვიეს. დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში თბილისში ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან სულ მოწვეული იყო ათამდე დი-ჯეი და როგორც კლუბის პრომოუტერები გვპირდებიან, ასეთი საღამოები არამხოლოდ ზაფხულის, წლის განმავლობაშიც გაგრძელდება.

ამჟამად კი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მოსკოველი დი-ჯეების წარდგენა გრძელდება. უფრო სწორად Moscow Beat-ს დღეს საღამოს დი-ჯეი ასია დაასრულებს. ამ დი-ჯეის შესახებ ძალიან ძუნწად მოიპოვება ინფორმაცია, იმის მიუხედავად, რომ აქვს საკუთარი ვებ-საიტი. თუმცა, შესაბამის საინფორმაციო ინტერნეტ-გვერდებში მის შესახებ თითქმის ყველგან ერთი და იმავეს წერენ; ძირითადად კი აქებენ. ფართო საზოგადოების ყურადღება ასიამ შარშან ესტონეთში Sun Dance Music Festival-ზე მიიქცია. მას შემდეგ ეს ოცდახუთი წლის გოგონა არამარტო რუსეთში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში გამართული მუსიკალური ფესტივალებისა თუ საკლუბო საღამოების საპატიო პერსონაა.

დი-ჯეი ასია დი-ჯეების იმ იშვიათ გამონაკლისს შორისაა, ვინც შესაბამისი მუსიკალური განათლება მიიღო. მაგრამ ეს იყო ოდესღაც, საბჭოთა ეპოქაში ხომ მშობლები ვალდებულებად თვლიდნენ თავს შვილები (განსაკუთრებით გოგონები) მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანო კლასში ეტარებინათ. ასიამ ფორტეპიანოსთან ერთად გიტარაც შეისწავლა, თუმცა უმაღლეს სასწავლებლად ქიმიკის სწავლა [illegible] ფაკულტეტში სწავლა [illegible] ეპოქას დაემთხვა. [illegible] ინტერესებისა და [illegible] სფერო. პირველად ღამის კლუბში 1992 წელს მოხვდა. დი-ჯეის "საკუთნაომ" გაიცნო. "თუ გინდა ისწავლო, ხვალ დაკეტილი იქნება კლუბი, მოდი და ელემენტარულს აგიხსნი", - მისდა ბედად შესაშური გულისხმიერება გამოიჩინა მოსკოვური კლუბის ერთ-ერთმა წამყვანმა და მაშინ მოხდა "თინეიჯერი" გოგონას ცხოვრებაში გარდატეხაც. საკლუბო ცხოვრებამ იმდენად გაიტაცა, უმაღლეს სასწავლებელსაც დაანება თავი. ახლა დი-ჯეი ასიას საკლუბო მოვაწეობის არცთუ ისე მცირე გამოცდილება აქვს. საკლუბო წამყვანთან ერთად, ის რემიქსებსაც ქმნის და თუ რამდენად გემოვნებით, ამას დღეს საღამოსვე მოვისმენთ "აჭარა მიუზიკ ჰოლში".



დღეს ასია თბილისელებს გაართობს.

Billboard

## ბროდვეის კვირის შემოსავლები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| სპექტაკლი | თეატრი | შემოსავალი დოლარებში რვაზე მეტი სპექტაკლისთვის |
|---|---|---|
| მეფე ლომი | ნიუ ამსტერდამი | 1.103.497 |
| Hairspray | ნილ საიმონი | 994.071 |
| მამა მია! | კადილაკის ზამთრის ბაღი | 983.291 |
| ბოშა | შუბერტი | 819.392 |
| პროდიუსერები | სენტ ჯეიმსი | 815.656 |
| ცხრა | იუჯინ ო'ნილი | 770.972 |
| გამოსახლება | რიჩარდ როჯერსი | 718.958 |
| Long Day's Journey into Night | პლიმაუთი | 667.681 |
| 42-ე ქუჩა | ფორდის ცენტრი | 651.192 |
| აიდა | პალასი | 624.801 |





Billboard

## ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | სად/როდის | შემოსავალი $ | ბილეთის ფასი $ | დამსწრეთა რაოდენობა | კონცერტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| Star Academie | 19-28 ივნისი, მონრეალი | 3.4 მილიონი | 32.57, 29.57 | 111.306 | 11 |
| Fleetwood Mac | 26-27 ივნისი, როუზმონტი, ილინოისი | 2.5 მილიონი | 125, 75, 49.50. | 28.416 | 2 |
| Fleetwood Mac | 19-20 ივნისი, სენ პოლი, მინესოტა | 2.3 მილიონი | 125, 75, 48. | 25.271 | 2 |
| "დიქსი ჩიქსი", მიშელ ბრენჩი | 20-21 ივნისი, მედისონ სქვერ გარდენი, ნიუ იორკი | 2.2 მილიონი | 75, 35 | 35.628 | 2 |
| დეივ მეთიუსის ბენდი, დენ ვილიამსი | 26-27 ივნისი, სტარ ლეიკი, პენსილვანია | 1.7 მილიონი | 52.50, 35. | 41.850 | 2 |
| დეივ მეთიუსის ბენდი, დენ ვილიამსი | 23-24 ივნისი, ცინცინატი, ოჰაიო | 1.4 მილიონი | 52.50, 35 | 35.519 | 2 |
| The Dead, სტივ ვინვუდი | 24-25 ივნისი, ჰოლმდელი, ნიუ ჯერსი | 1.3 მილიონი | 53.50, 36.50 | 29.985 | 2 |
| Fleetwood Mac | 12 ივნისი, ებერნ ჰილსი, მიჩიგანი | 1.2 მილიონი | 125, 75, 47 | 13.931 | 1 |
| ნილ იანგი, ლუსინდა უილიამსი | 26 ივნისი, მედისონ სქვერ გარდენი, ნიუ იორკი | 1.2 მილიონი | 125, 35 | 14.770 | 1 |
| Fleetwood Mac | 7 ივნისი, სანრაიზი, ფლორიდა | 1.1 მილიონი | 126.50, 76.50, 49.50 | 12.323 | 1 |

## ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული დიდ ბრიტანეთში

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| "ყოვლისშემძლე ბრიუსი", ტომ შედიაკი | ჯიმ კერი, ჯენიფერ ანისტონი, მორგან ფრიმენი | 5.4 მილიონი | 22.2 მილიონი |
| "ჩარლის ანგელოზები: 2", ემ ჯი ჯი | კამერონ დიაზი, დრიუ ბერიმორი, ლიუსი ლიუ, დემი მური | 4.8 მილიონი | 5.4 მილიონი |
| 2 Fast 2 Furious, ჯონ სინგლტონი | პოლ უოკერი, ტაირიზი, ევა მენდესი, დევონ აოკი | 1.0 მილიონი | 10.2 მილიონი |
| "მატრიცა: გადატვირთვა", ლარი და ენდი ვაჩოვსკები | კეანუ რივზი, ლორენს ფიშბერნი, ჯადა პინკეტი, მონიკა ბელუჩი | 0.5 მილიონი | 52.6 მილიონი |
| Wrong Turn, რობ შმიდტი | ელაიზა დუშკუ, დესმონდ ჰარინგტონი, ჯერემი სისტო | 0.4 მილიონი | 1.5 მილიონი |
| Identity, ჯეიმს მენგოლდი | ჯონ კიუზაკი, ჯეი ბეში, რებეკა დემორნი, რეი ლიოტა | 0.3 მილიონი | 4.8 მილიონი |
| "ნიკოლას ნიკლები", დუგლას მაკგრათი | ჩარლი ჰანემენი, ჯეიმი ბელი, კრისტოფერ პლამერი | 0.3 მილიონი | 1.1 მილიონი |
| Anger Management, პიტერ სიგალი | ადამ სენდლერი, ჯეკ ნიკოლსონი, კრისტა ალენი, მარისა ტომეი | 0.2 მილიონი | 9.2 მილიონი |
| [illegible] | [illegible] | 0.1 მილიონი | 0.2 მილიონი |
| [illegible] | [illegible] | 0.1 მილიონი | 0.1 მილიონი |



TV პროგრამა
12 ივლისი

რუსთავი - 2

[illegible]

პირველი არხი

[illegible]

პირველი სტერეო

[illegible]

მეორე არხი

[illegible]

კავკასია

[illegible]

იბერია

[illegible]

მეცხრე არხი

[illegible]

იმედი

[illegible]

ევრიკა

[illegible]

VII არხი

[illegible]

ОРТ

**07.00** Новости **07.10 Сериал „Китайский связной“ 08.00, 11.00, 15.00. 19.00** Новости **08.10 Сериал „Приключения Геркулеса“ 09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Играй, гармонь любимая!“ **10.00** „Слово пастыря“ **10.15** „Здоровье“ **11.10** „Смак“ с А. Макаревичем **11.30** „Смехопанорама“ **12.00 Комедия „Гараж“ 13.50** „Путешествие натуралиста“ **14.20** „Чтобы помнили...“. В.Белокуров **15.15** Дисней-клуб: „Геркулес“ **15.40** Док.фильм „Прохоровка. Укрощение „Тигра“ **16.10 Сериал „Темный ангел“ 17.05** „Большая стирка“. Закрытие сезона. Церемония „Золотая прищепка“ **19.10 Комедия „Хорошо сидим“ 20.25** А. Пугачева. „Сказки о любви“ **20.55** „Кто хочет стать миллионером?“ **22.00** „Время“ **22.35 Боевик „Терминатор“ 00.35 Худ.фильм „Хочу вашего мужа“ 01.55 Триллер „Сумеречная зона“ 03.45** „Реальная музыка“

РТР

**07.00 Детектив „Город принял“ 08.15** Мультфильм „Лиса, медведь и мотоцикл с коляской“ **08.25** Мультсериал „Джеки Чан“ **09.05** „Студия „Здоровье“ **09.40** „Золотой ключ“ **10.00** „Сборная России“ **10.25** „Военная программа“ **10.45** „Утренняя почта“ **11.15** „Сто к одному“ **12.05** „Сам себе режиссер“. **13.00** „В поисках приключений“ **13.55 Худ.фильм „Отец“ 15.00, 21.00** Вести **15.20 Детектив „Пять минут страха“ 17.00 Футбол. Чемпионат России. „Крылья Советов“** (Самара) - **„Торпедо“** (Москва) **19.00** „Моя семья“ **20.00** „Аншлаг“ **21.20 Детектив „Убийство в Белом доме“ 23.25 Драма „Обман“ 01.30 Худ.фильм „Нападение“ 03.25 Сериал „Клоун“**

НТВ

**07.40 Худ.фильм „Это случилось в милиции“ 09.00** „Сегодня“ **09.20 Сериал „Голубое дерево“ 09.55** „Без рецепта“. Доктор Бранд **10.30** „Весь Жванецкий“. „Писатель в семье - квартирант“ **11.05** „Кулинарный поединок. Стихийные рецепты“ **12.00** „Квартирный вопрос. Розовое на белом“ **12.50** Спорт „Лотто 6 из 49“ **12.55** Погода на завтра **13.00, 17.00** „Сегодня“ **13.15** Шоу „Фактор страха“ **14.00** „Служба спасения“ **14.30 Детектив „Без видимых причин“ 16.05** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“. К. Шахназаров **17.55 Боевик „Монах 2. Возвращение в Шаолинь“ 19.45** Финалы Чемпионата мира по боксу в Таиланде **20.50 Боевик „Агент национальной безопасности“ 22.00** „Личный вклад“ **23.00 Боевик „Все то, о чем мы так долго мечтали“ 01.15** „Все сразу!“ **01.50 Худ.фильм „Операция „Коза“**

# ნიუ იორკში „პროკოფიევის წელი" დაიწყო

მელორ სტურუა

სამშაბათს, 8 ივლისს, ნიუ იორკში დიდი რუსი კომპოზიტორის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი "პროკოფიევის წელი" დაიწყო. "მეტროპოლიტენ ოპერაში" ვალერი გერგიევის ხელმძღვანელობით მარინის თეატრის შემსრულებლების მიერ განხორციელებული სერგეი პროკოფიევის ოპერის, "სემენ კოტკოს" ჩრდილოამერიკული პრემიერა შედგა. იმავდროულად ლინკოლნ-ცენტრში კამერული მუსიკის საზოგადოების მიერ ორგანიზებული ორდღიანი პროკოფიევის მარათონი დაიწყო. ამ მარათონის განმავლობაში პიანისტი ანა მარია მაკდერმოტი პროკოფიევის შვიდივე საფორტეპიანო სონატას შეასრულებს.

პროკოფიევის დღესასწაულები 27 ივლისამდე გასტანს. ამ დროის განმავლობაში, ლინკოლნ-ცენტრის "ფესტივალი-2003"-ის ფარგლებში, მარინის თეატრი შვიდ ოპერასა და ერთ კონცერტს შეასრულებს. ცენტრის "ვარდისფერ დარბაზში" ჰარიმანის ინსტიტუტის დირექტორის და ბერნარდ-კოლეჯის სლავური ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, კატარინა ნეპომნიაშჩაიას თავმჯდომარეობით კომპოზიტორის შემოქმედების განხილვა გაიმართება. საფორტეპიანო მარათონი ალის ტული-ჰოლში ეწყობა. სტენლი კაპლან-პენტჰაუზში ჩატარდება სემინარი "პროკოფიევის ცხოვრება და მუსიკა", რომელსაც კომპოზიტორის ცნობილი ბიოგრაფი, ჰარლოუ რობინსონი გაუძღვება.

სერგეი პროკოფიევი, როგორც საოპერო კომპოზიტორი, ამერიკას ვალერი გერგიევმა გააცნო. წამყვანი მუსიკალური კრიტიკოსი, ენტონი ტომაზინი წერს, რომ "ვალერი გერგიევი წარმატებულ კამპანიას ახორციელებს, რომლის მიზანიც დასავლეთის დარწმუნებაა, რომ პროკოფიევის შვიდი ოპერა – სანკტ-პეტერბურგის კიროვის ოპერის რეპერტუარის საფუძველი – ბრიტენის ოპერებთან ერთად მეოცე საუკუნის საოპერო ხელოვნების ხერხემალს წარმოადგენს. და გერგიევმა ჩემი დარწმუნება შეძლო". უკანასკნელ დრომდე შეერთებულ შტატებში პროკოფიევის მხოლოდ ორი ოპერა იყო ცნობილი – "ომი და მშვიდობა" და "სამი ფორთოხლის სიყვარული". როცა 1998 წელს გერგიევმა ნიუ იორკში შერიდანის "დუენიას" მიხედვით შექმნილი "ნიშნობა მონასტერში" დადგა, ამერიკელი საოპერო ხელოვნების მოყვარულთათვის ეს ნამდვილი გამოცხადება იყო. არანაკლები მოულოდნელობა იყო "ფალსტაფი" და "მოთამაშეც".

მუსიკალური კრიტიკოსი ბერნარდ ჰოლანდი ამბობს, რომ "სერგეი პროკოფიევს მე-19 საუკუნეში არსებობა არ შეეძლო. ის მთლიანად მეოცე საუკუნეს ეკუთვნის". ამ საუკუნის 20-იან წლებში ის უკვე ახორციელებდა თავის მუსიკაში უბიწობის, ოცნებების, იმედით სავსე ფანტაზიების დიდ სწრაფვებს, და ამას სხვებზე უკეთ აკეთებდა – ალბათ,+ რახმანინოვის გამონაკლისით. პროკოფიევის შემოქმედებაში მის ირგვლივ არსებული ხელოვნების ყველა სახეობა აისახა, მან თავის მუსიკაში მათი ბუნებრივად ადაპტირება შეძლო. ამ მუსიკაში დიდი სილამაზეა, რომელსაც, მართალია, წარსულის რომანტიკოსები, ალბათ, არ აღიარებდნენ. პროკოფიევის ბედი დიადი ნიჭის საშინელი ტრაგედიაა. 1918 წელს ის რუსულ რევოლუციას დასავლეთში გაექცა და აღმოაჩინა, რომ ევროპა სტრავინსკის, ხოლო ამერიკა – რახმანინოვის ფეხთითაა გართხმული. ამ გარემოებამ და საბჭოთა უტოპიის ხიბლმა მას 1936 წელს რუსეთში დაბრუნებისკენ უბიძგა. თუკი დასავლეთმა, მისი თქმით, "დაღეჭა და გადააფურთხა, საბჭოეთმა ის სოციალისტურ ჰამბურგერად აქცია".

"პროკოფიევის წელს" მუსიკალურ მაღაზიებსა და ეთერში პროკოფიევის მუსიკის ჩანაწერების ახალი ტალღა დაიძრა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს რიხტერის შესრულებით მეექვსე საფორტეპიანო სონატა (მისი საკონცერტო ჩანაწერი კარნეგი-ჰოლში, 1960 წელი); მესამე საფორტეპიანო კონცერტი მართა ერგერიხის შესრულებით, რომლისთვისაც პროკოფიევი "საბედისწერო" კომპოზიტორი გახდა; "კლასიკური" სიმფონია იური ტემირკანოვის ხელმძღვანელობით (სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით ასევე კლასიკურად ითვლება); მეშვიდე სონატა ეფიმ ბრონფმანის შესრულებით, რომელსაც კრიტიკოსი ალან კოზინი "ბეთჰოვენისეულ მოდერნისტურ კლასიციზმს" უწოდებს; პირველი სავიოლინე კონცერტი, დირიჟორი – როსტროპოვიჩი, სოლისტი – მაქსიმ ვენგეროვი, რომლის შესახებაც კრიტიკოსი ჯერმი ეიჰლერი წერს: "ეს არნახული სილამაზის სულშიჩამწვდომი მუსიკაა". (მახსოვს, ეს კონცერტი კომპოზიტორის დაკრძალვაზე შეასრულეს. პირადად მე მას გიდონ კრემერის შესრულებით ვამჯობინებ).

მუსიკალური "ბუკინისტები" მოყვარულებს ისეთ შედევრ-რარიტეტებს სთავაზობენ, როგორებიცაა "პეტია და მგელი" ბოსტონის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით და სერჟ კუსევიცკის – პროკოფიევის "პროპაგანდისტისა და აგიტატორის" ხელმძღვანელობით; მეორე სავიოლინე კონცერტი იაშა ჰეიფიცით და "კლასიკური" არტურო ტოსკანინის ხელმძღვანელობით. "პროკოფიევის წელი" შეერთებულ შტატებში ნამდვილ მუსიკალურ ნადიმად იქცა!

მუსიკალური კრიტიკოსები ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ კუსევიცკის და როსტროპოვიჩის შემდეგ პროკოფიევის შემოქმედების პროპაგანდისტის ესტაფეტა ვალერი გერგიევს გადაეცა. ასე, მაგალითად, ჯეიმს ოისტრახი თვლის, რომ "ვალერი გერგიევი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში პროკოფიევის მუსიკის ჩემპიონი გახდა. მას სხვებზე უკეთ ესმის რუსული სული, მისი რიტმი, მისი მგრძნობიარობა, მისი პალიტრა". კრიტიკოსი განსაკუთრებული ქებით მოიხსენიებს ხუთი საფორტეპიანო კონცერტის ალბომს (დირიჟორი – გერგიევი, სოლისტი – ალექსანდრე თორაძე). რა სიმბოლურია: 2003 წელი – სერგეი პროკოფიევის გარდაცვალების 50 წლისთავია და ვალერი გერგიევის დაბადების 50 წლისთავი!

მაშ ასე, "პროკოფიევის წელი" წარმატებით დაიწყო. წარმატებები ვუსურვოთ!



"მეტროპოლიტენ ოპერა" პროკოფიევის დღესასწაულს მასპინძლობს



ვალერი გერგიევს პროკოფიევის მუსიკის ჩემპიონად მიიჩნევენ



მსტისლავ როსტროპოვიჩი



"კლასიკური" სიმფონია იური ტემირკანოვის ხელმძღვანელობით










# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის

ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.